

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-70

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას და მფლობელებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღება გავამახვილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელშიც მითითებულია, რომ ჯგუფს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა ნეგატიური წმინდა აქტივები 214,010 ათასი ლარის ოდენობით და მისი მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 710,586 ათასი ლარით აჭარბებდა. ეს მოვლენები ან პირობები მიანიშნებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

ჯგუფის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის 2021 მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის 2021 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს-ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 26 სექტემბერი



**Building a better
working world**

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს-ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 26 სექტემბერი

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2021	2020
შემოსავალი	6	2,175,850	1,741,420
ბუნებრივი გაზის თვითღირებულება		(951,987)	(931,960)
ნავთობპროდუქტების თვითღირებულება		(830,029)	(497,285)
სხვა გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(24,160)	(17,539)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(76,200)	(72,317)
ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ღირებულება		(65,808)	(60,568)
ცვეთა	9, 10	(51,445)	(48,435)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების შეზღუდვა/(დარიცხვა)	9	41,690	(38,481)
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	8	(22,557)	(18,711)
ნავთობშემცველი პროდუქტების ტრანსპორტირება		(10,690)	(6,614)
სარეკლამო ხარჯები		(3,256)	(3,025)
ცვლილება საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში	24	(5,079)	729
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული სხვა ხარჯები	7	(74,275)	(64,641)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		102,054	(17,427)
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		34,366	(104,168)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული (ზარალი)/შემოსულობა		(363)	31
ფინანსური შემოსავალი	16	2,948	14,685
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	16	(78,769)	(69,862)
დასაბეგრი მოგება/(ზარალი)		60,236	(176,741)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		60,236	(176,741)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		60,236	(176,741)

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

მაჰირ მამედოვი
გენერალური დირექტორი

გიორგი ჯაფარიძე
აღმასრულებელი დირექტორი

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ადმარულებელი დირექტორი

5

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	938,768	870,541
აქტივის გამოყენების უფლება	10	21,522	32,142
საინვესტიციო ქონება	24	12,566	17,645
არამატერიალური აქტივები		2,616	2,307
სხვა აქტივები, გრძელვადიანი	13	–	1,819
სულ გრძელვადიანი აქტივები		975,472	924,454
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	64,291	45,686
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	12	277,996	291,781
საგადასახადო აქტივები, წმინდა		140	599
სხვა მიმდინარე აქტივები	13	11,653	10,583
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	22,655	83,290
სულ მიმდინარე აქტივები		376,735	431,939
სულ აქტივები		1,352,207	1,356,393
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	409,291	409,291
დამატებით შეტანილი კაპიტალი	15	144,943	144,943
აკუმულირებული ზარალი		(768,244)	(828,480)
სულ კაპიტალი		(214,010)	(274,246)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	16	344,433	443,307
სახელმწიფო გრანტები	17	68,539	61,907
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულება	17	55,182	50,752
საიჯარო ვალდებულებები	10	10,742	20,502
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		478,896	576,468
მიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	16	444,976	382,146
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება	18	582,990	593,084
წმინდა საგადასახადო დავალიანება		40,186	31,614
საიჯარო ვალდებულებები	10	8,885	12,023
სახელმწიფო გრანტები	17	7,493	6,086
სახელშეკრულებო ვალდებულებები	6	2,791	29,218
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,087,321	1,054,171
სულ ვალდებულებები		1,566,217	1,630,639
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,352,207	1,356,393

9-70 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი (მე-15 შენიშვნა)	დამატებით შეტანილი კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	409,291	144,943	(651,739)	(97,505)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	–	(176,741)	(176,741)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	409,291	144,943	(828,480)	(274,246)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	60,236	60,236
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	409,291	144,943	(768,244)	(214,010)

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2021	2020
საოპერაციო საქმიანობა			
შემოსავალი/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		60,236	(176,741)
<i>არაფულადი კორექტივები დასაბეგრი ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ცვეთა	9,10	51,445	48,435
ამორტიზაცია		714	67
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ზარალი/(შემოსულობა)		363	(31)
შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან	17	(7,072)	(3,676)
შემოსავალი სავაჭრო კრედიტორული ვალდებულების ჩამოწერიდან	20	(8,365)	–
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	8	22,557	18,711
ძირითადი საშუალებების გაუფასურების (შემოზრუნება)/დარიცხვა	9	(41,690)	38,481
ცვლილება საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში	24	5,079	(729)
სათადარიგო ნაწილების ჩამოწრა		366	57
საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა (შემოსულობა)/ზარალი		(25,981)	55,504
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	16	78,769	69,862
ფინანსური შემოსავალი	16	(2,948)	(14,685)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		133,473	35,255
<i>საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები:</i>			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(18,971)	1,207
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		(8,300)	(25,899)
ცვლილება სხვა აქტივებში		(1,276)	(2,031)
წმინდა ცვლილება საგადასახადო აქტივებში		459	(52)
წმინდა ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		8,572	8,692
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებაში		(10,449)	74,152
სახელმეკრულებო ვალდებულებების ცვლილება		(26,427)	24,172
		77,081	115,496
გადახდილი მოგების გადასახადი		–	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		77,081	115,496
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(47,872)	(27,087)
არამატერიალურ აქტივებში გადახდილი თანხები		(1,023)	–
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	24	–	1,130
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		3,991	7,075
გაცემულ სესხებზე მიღებული შემოსავალი		1,637	2,088
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(43,267)	(16,794)
ფინანსური საქმიანობა			
ამონაგები სესხებიდან	16	400,283	520,079
სესხების დაფარვა	16	(417,359)	(471,910)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	10	(12,340)	(11,963)
გადახდილი პროცენტი		(64,735)	(63,179)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(94,151)	(26,973)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(60,337)	71,729
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	14	83,290	12,304
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(298)	(743)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	14	22,655	83,290

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები განხილულია 23-ე შენიშვნაში.

9-70 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი კომპანიების ჯგუფის (შემდგომში „ჯგუფი“) ჰოლდინგური კომპანია. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 300 არაგველის ქ. #24.

ჯგუფს აკონტროლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომელსაც კომპანიის საწესდებო კაპიტალის 75.505% ეკუთვნის. ჯგუფის არასაკონტროლო პაკეტს ფლობენ „Intersun Holding FZCO“ (8.165%) და „EVENTUS GENERAL TRADING FZE“ (16.33%). ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ნავთობპროდუქტების იმპორტი და გადაყიდვა საცალო და საბითუმო კლიენტებზე ბენზინგასამართი სადგურებისა და ნავთობბაზის მეშვეობით და ასევე ბუნებრივი გაზის იმპორტი და გაზგამანაწილებელი ქსელის მეშვეობით განაწილება იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე საქართველოს რეგიონებში. ინფორმაცია ჯგუფის სტრუქტურის შესახებ მოცემულია 3.2 შენიშვნაში. ინფორმაცია ჯგუფის სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობის შესახებ წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელების მიერ პარტნიორთა საერთო კრებაზე. მფლობელებს უფლება აქვთ შეიტანონ ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა ნეგატიური წმინდა აქტივები 214,010 ლარის ოდენობით, ხოლო მისი მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს 710,586 ლარით აჭარბებდა. ეს გარემოებები მიაჩნდება არსებით განუსაზღვრელობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ჯგუფი თავისი საწარმოო სიმძლავრის გაზრდის პროცესშია და ამის გამო მნიშვნელოვან კაპიტალურ და საოპერაციო დანახარჯებს განიცდის. 2008 წელს გაზგამანაწილებელი ქსელის შესყიდვის შემდეგ ჯგუფმა კაპიტალური დაბანდების მნიშვნელოვანი ვალდებულებები აიღო, რისი მიზანიც გამანაწილებელი ქსელების გაფართოება და ქსელთან ახალი აბონენტების მიერთება იყო. 2008 წლიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე გაზიფიცირების ქსელის განვითარებაში განხორციელდა 712,189 ლარის ინვესტირება და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ბუნებრივი გაზის მომხმარებლების რაოდენობა დაახლოებით 490,000-მდე გაიზარდა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

თავისი კაპიტალის და საოპერაციო საჭიროებები ჯგუფმა დააფინანსა მფლობელთა დახმარებით კაპიტალისა და სესხების ფორმით, ასევე მშობელი კომპანიისა და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან (სკდს) მიღებული მომწოდებლის კრედიტით და ადგილობრივი ბანკებისგან აღებული მომცრო სესხებით.

ჯგუფმა დაფინანსების დიდი ნაწილი მოიპოვა მშობელი კომპანიისგან მომწოდებლის კრედიტის სახით, რომელიც მიმართა კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მფლობელებს აქვთ სურვილი და შესწევთ უნარი, გააგრძელონ ჯგუფის მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მფლობელის ბოლოდროინდელი ქმედებებით და ასევე ჯგუფის ხელმძღვანელობასთან გამართული შეხვედრებით და მოლაპარაკებებით.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს დასჭირდება დაახლოებით 458,000 ლარის ოდენობის დამატებითი დაფინანსება 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე. ეს დანაკლისი არ მოიცავს მშობელი კომპანიის მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანების შემდგომ შემცირებას. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მშობელი კომპანია თანახმა იქნება უახლოეს მომავალში სასაქონლო კრედიტის არსებულ დონეზე შენარჩუნებაზე.

აღნიშნული შეფასება იმ დაშვებასაც შეიცავს, რომ 2023 წლის ოქტომბრამდე მიმდინარე ყველა სესხი დაიფარება, რადგან არ არსებობს საკრედიტო ვალდებულებები. ხელმძღვანელობა მოელის, რომ იმ სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის დაფარვის ვადა 2023 წლის ოქტომბრამდეა, შეიცვლება ან გახანგრძლივდება. 2022 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში ჯგუფმა დაფარა ძირითადი თანხა 452,237 ლარის და პროცენტი - 36,511 ლარის ოდენობით და წარმატებით შეათანხმა ან განახორციელა სესხების რეფინანსირება მთლიანი საბალანსო ღირებულებით 420,515 ლარი.

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. 2020 წლის 31 მარტიდან 2020 წლის 23 მაისამდე საქართველოში კომენდანტის საათი შემოიღეს (საღამოს 21:00 საათიდან დილის 06:00 საათამდე), როგორც კოვიდ-19-ის გავრცელებასთან ბრძოლის ერთერთი ღონისძიება. ამ პერიოდში შეზღუდული იყო მოძრაობა საქართველოს ქალაქებს შორის. ამასთან საზოგადოებრივი ტრანსპორტი სრულად შეიზღუდა. ყველაფერმა ამან გამოიწვია ნავთობშემცველი პროდუქტების მოხმარების კლება, რამაც, თავის მხრივ იმოქმედა ჯგუფის ნავთობის სეგმენტის მაჩვენებლებზე. გართულებული ფინანსური მაჩვენებლების გამო 2020 წელს ნავთობის სეგმენტში აღიარდა ძირითადი საშუალებების გაუფასურება 38,481 ლარის ოდენობით.

კოვიდ-19-ის ეპიდემიას მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა არ ჰქონია გაზის სექტორზე, რადგან საქართველოს მთავრობამ მოახდინა სოციალური გაზის მოხმარების სუბსიდირება 2020 წლის 5 თვის და 2021 წლის 2 თვის განმავლობაში იმ მოსახლეობისთვის, რომლებიც თვეში 200 კუბურ მეტრზე ნაკლები ოდენობით გაზს მოიხმარდნენ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

მთლიანობაში, კოვიდ-19-ის ეპიდემიის აფეთქებას არ გამოუწვევია ჯგუფის ოპერაციების შეჩერება, რადგან ჯგუფის საქმიანობები ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონედ მოიაზრება სიცოცხლის მხარდაჭერისთვის. მისი შეჩერება არ მომხდარა რამდენიმე მკაცრი იზოლაციის (ე.წ. ლოქდაუნი) მიუხედავად კი. მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ჯგუფი არ მოელის, რომ კოვიდ-19-ის ვირუსს არსებით უარყოფითი გავლენა ექნება მის ოპერაციებზე. 2020 წელთან შედარებით, შეზღუდვები მთელს მსოფლიოში აღმოიფხვრა, ადამიანები იცრებიან და ადგილი აქვს პანდემიისგან გამოჯანმრთელებას, თუმცა სიტუაცია კვლავ ვითარდება და შეუძლებელია გავლენის საიმედოდ შეფასება.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ეყრდნობა არსებულ მოლოდინებსა და პროგნოზებს. არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ისეთ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვი გამოიწვიოს საწარმოს მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნართან დაკავშირებით და, შესაბამისად, მან შესაძლოა ვერ შეძლოს მისი აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა საქმიანობის ნორმალურ პირობებში. ამ რისკებს და გაურკვევლობებს, რომელთა უმრავლესობა ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება, შესაძლოა ჰქონდეთ ანგარიშგების თარიღით გაკეთებული განცხადებებისგან განსხვავებული შედეგები. დღეის მდგომარეობით, ყველა ოპერაცია ეფუძნება იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 მომზადების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონებისა და გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.2 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე (ანუ არსებული უფლებები, რაც მას აძლევს საშუალებას, რომ წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა)
- ▶ იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში ფლობს ხმის ან სხვა მსგავსი უფლების უმრავლეს ნაწილზე ნაკლებს, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ სახელშეკრულებო გარიგება (გარიგებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან
- ▶ სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი კომპანიის წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილ კომპანიაზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის პარტნიორებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. შვილობილი კომპანიების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საქმიანობის შედეგები და ფულადი ნაკადები მზადდება იმავე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომლისთვისაც კომპანიისა, ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.2 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო პაკეტის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში-ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

ინფორმაცია შვილობილი კომპანიის შესახებ

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანიები	% წილი კაპიტალში		რეგისტრაციის ქვეყანა	ძირითადი საქმიანობა
	2021	2020		
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	100%	100%	საქართველო	ნავთობპროდუქტები ბუნებრივი გაზით
შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“	100%	100%	საქართველო	კომუნალური მომსახურება
შპს „სოკარ ჯორჯია სიქიურითი“	100%	100%	საქართველო	სხვა
შპს „ს მარკეტსი“	100%	100%	საქართველო	საცალო
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი სამტრედია“	75%	75%	საქართველო	ნავთობპროდუქტები
შპს „ინდასტრი ჯორჯია“	100%	100%	საქართველო	მშენებლობა
შპს „ობიექტი“	55%	55%	საქართველო	ნავთობპროდუქტები
შპს „საერთაშორისო სარკინიგზო ექსპედიცია“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
შპს „ყულევის ნავთობტერმინალი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო კომუნალური მომსახურება
შპს „თელავგაზი“	100%	100%	საქართველო	ბუნებრივი გაზით
სს „წყალტუბო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ბაღდადი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ზესტაფონი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „აბაშა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ზუგდიდი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ახმეტა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „დედოფლისწყარო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხარაგაული გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჩოხატაური გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლაგოდეხი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ყვარელი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „საგარეჯო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „გურჯაანი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „სიღნაღი გაზი“	91.88%	91.88%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ოზურგეთი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლანჩხუთი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჭიათურა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხოზი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ფოთის ბუნებრივი გაზის კომპანია“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.2 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

სხვა ინვესტიციები აქციონერულ კაპიტალში

ჯგუფი ფლობს არასაკონტროლო წილს 4,98%-ის ოდენობით სს „საქორგგაზში“ 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სს „საქორგგაზის“ ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის დისტრიბუცია მისი მილსადენი ქსელით და ბუნებრივი გაზის რეალიზაცია მისი მილსადენი ქსელით სოციალურ და კომერციულ მომხმარებლებზე. ინვესტიცია სს „საქორგგაზის“ აქციონერულ კაპიტალში სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რომელიც ნულის ოდენობით განისაზღვრა 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მიერ თავისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები:

(ა) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფი გრძელვადიანი ფინანსური აქტივების მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტებს და საინვესტიციო ქონების მსგავს არაფინანსურ აქტივებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არაეფექტიან მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

- ▶ დონე 1 – მსგავსი აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა

ჯგუფი განსაზღვრავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

ჯგუფმა განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულების სისტემატური შეფასების პოლიტიკას და პროცედურებს, მაგალითად, საინვესტიციო ქონებისთვის და გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისთვის.

ისეთ მნიშვნელოვან აქტივებს, როგორც არის საინვესტიციო ქონება, გარე შემფასებლები აფასებენ. გარე შემფასებლების დაქირავების საკითხს ჯგუფი ყოველწლიურად განსაზღვრავს. შერჩევის კრიტერიუმებში შედის ბაზრის ცოდნა, რეპუტაცია, დამოუკიდებლობა და პროფესიული სტანდარტების დაცვა. გარე შემფასებლებთან გამართული განხილვების შემდეგ ჯგუფი გადაწყვეტს თითოეულ შემთხვევაში შეფასების რომელი მეთოდები და მონაცემები გამოიყენოს.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ჯგუფმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია მე-19 და 24-ე შენიშვნებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) უცხოური ვალუტები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. ჯგუფი თითოეული წევრისთვის განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შვილობილი კომპანიის სამუშაო ვალუტა ლარია, რადგან ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები ფუნქციონირებენ.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის საწარმოების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც განისაზღვრება სამართლიანი ღირებულება. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად (ანუ თუ მუხლების სამართლიანი ღირებულების შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, მათზე საკურსო სხვაობებიც სხვა სრულ შემოსავალსა თუ მოგებაში ან ზარალში აისახება).

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც ჯგუფი თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ჯგუფმა თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულად.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე
- ▶ მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას, გაცემულ სესხებს და სხვა აქტივებში შესულ აქტივებს, მოკლევადიანი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება
(გაგრძელება)

ფინანსური აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (წილობრივი ინსტრუმენტები)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფს შეუძლია შეარჩიოს მოახდინოს აქციონერულ კაპიტალში მისი ინვესტიციის გამოუთხოვადი კლასიფიცირება წილობრივ ინსტრუმენტებად, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხება სხვა სრულ შემოსავალში, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალის განმარტებას ბასს (IAS) 32-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“) საფუძველზე და მათი ფლობა სავაჭროდ არ ხდება. კლასიფიკაცია განისაზღვრება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე.

შემოსულობები და ზარალი ამგვარ ფინანსურ აქტივებზე მოგებაში ან ზარალში არასოდეს ბრუნდება. დივიდენდები აღიარდება სხვა შემოსავლის სახით სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, გადახდის უფლების დადგენისას, გარდა შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი სარგებელს იღებს ამგვარი ამონაგებიდან, ფინანსური აქტივის თვითღირებულების ნაწილის აღდგენის სახით, რა დროსაც ამგვარი შემოსულობები სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხება. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული წილობრივი ინსტრუმენტები გაუფასურების შეფასების საგანს არ წარმოადგენენ.

ჯგუფმა გადაწყვიტა გამოუთხოვადად მოეხდინა მისი ლისტიנגში არ შესული კაპიტალში ინვესტიციის (გრძელვადიანი ფინანსური აქტივები) ამ კატეგორიად კლასიფიკაცია.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოღება) ძირითადად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადმოცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადმოცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (მე-5 შენიშვნა)
- ▶ სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-12 შენიშვნა)

ჯგუფმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და სხვა აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფს შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება
(გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, ნასესხები სახსრების და კრედიტორული ვალდებულების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებას, პროცენტიან სესხებს და ნასესხებ სახსრებს, საიჯარო ვალდებულებებს, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც ეს განხილულია ქვემოთ:

სესხები და ნასესხები სახსრები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხებისა და ნასესხები სახსრების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხები

სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. სხვაობა მიღებულ თანხებსა და თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას შორის აღირიცხება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი, რაც წარმოადგენს მშობელი კომპანიის დამატებით ინვესტიციას ჯგუფში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები

ჯგუფის მიერ გამოცემული ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები არის ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს გადახდა, რათა თავდებობის მფლობელს აუნაზღაურდეს ზარალი, რომელსაც ის განიცდის იმის გამო, რომ კონკრეტული დებიტორი ვერ ფარავს დავალიანებას სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით, რაც მერე კორექტირდება გარანტიის გაცემისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯებით. ამის შემდეგ ვალდებულება ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოდგენილი ვალდებულების შესასრულებლად საჭირო დანახარჯების სავარაუდო ოდენობასა და დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებულ აღიარებულ თანხას შორის უდიდესით.

საიჯარო ვალდებულება

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საიჯარო ვალდებულება (ა) იზრდება ფინანსური ხარჯის ოდენობით, რომელიც დაანგარიშდება საწყისი საიჯარო ვალდებულების პერიოდულ საპროცენტო განაკვეთზე გამრავლებით და (ბ) მცირდება გადახდილი იჯარის თანხის ოდენობით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ყოველწლიური შეფასების საფუძველზე, რომელსაც ჯგუფის მიერ დაქირავებული შემფასებელი ან ჯგუფის წარმომადგენლები ატარებენ, ჯგუფის გადაწყვეტილების შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს (ე.ი. თარიღში, როდესაც მიმღებზე გადადის კონტროლი) ან როდესაც საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ხდება ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის პერიოდის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში. საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილ შემოსულობა ან ზარალი შესაყვანი საზღაურის თანხა განისაზღვრება ფასს (IFRS) 15-ის გარიგების ფასის განსაზღვრის მოთხოვნების შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების მუხლში გადატანა (ან ამ მუხლიდან გადმოტანა) ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული ქონების ექსპლუატაციაში გარკვეული ცვლილება აღინიშნება. საინვესტიციო ქონებიდან მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების ანგარიშზე ქონების გადატანის შემთხვევაში შემდგომი აღრიცხვისთვის დასაშვები ღირებულება არის სამართლიანი ღირებულება სარგებლობაში მომხდარი ცვლილების თარიღისთვის. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება იქცევა საინვესტიციო ქონებად, ჯგუფი ასეთ ქონებას აღრიცხავს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად სარგებლობაში ცვლილების მოხდენის თარიღამდე.

(ვ) ძირითადი საშუალებები

(ი) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია შესყიდვის ღირებულებით ან მშენებლობის თვითღირებულებით, რასაც აკლდება ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების დანახარჯები, დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელი, ჯგუფი მათ ცვეთას არიცხავს ცალ-ცალკე, თითოეულის სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების დანახარჯი გაწევისთანავე აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

(ii) დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება აქტივების ექსპლუატაციაში მიღებიდან.

(iii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ნაწილის გამოცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ მოსალოდნელია ამ ნაწილიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ და თუ შეიძლება მისი თვითღირებულების სარწმუნოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(v) ცვეთა

ცვეთის აღიარება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადა:

მილსადენები	35–50 წელი
შენობა–ნაგებობები	7–25 წელი
მანქანა–დანადგარები და აღჭურვილობა	5–25 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და ავეჯი	5–15 წელი
კომპიუტერები და საკომუნიკაციო ტექნიკა	5–15 წელი
სხვა	2–8 წელი

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(ზ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ექვსწლიან ვადაზე. განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს ან ფაქტიური ერთეულის ფასს, და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურების დარიცხვა ან შემობრუნება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას (FVLCS) და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრის შემდგომი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. ჯგუფი აქტივის გამოყენების ღირებულების დაანგარიშებას დეტალურ ბიუჯეტებსა და საპროგნოზო კალკულაციებს ეფუძნება, რომლებიც განცალკევებით მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი.

ადიარებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად განაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურების დარიცხვა ან შემობრუნება (გაგრძელება)

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. ამობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი შემობრუნების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც შემობრუნება აღრიცხება როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

(კ) ამონაგების აღიარება

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის კლიენტზე გადაცემის მომენტში, იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

ჯგუფი შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად თუ პრინციპალის აგენტ მხარედ გამოდის. ჯგუფმა დაასკვნა, რომ ის მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლების მომტან გარიგებებში (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი კლიენტისთვის გადაცემამდე).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

(i) საქონლის რეალიზაცია

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, ე.ი. როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს. ნორმალური საკრედიტო ვადა საქონლის გადაცემის მომენტიდან 30-დან 60 დღემდე. შემოსავლის აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც ჯგუფი მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

(ii) ბუნებრივი გაზის რეალიზაცია

ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მომხმარებლებისთვის მიწოდებული გაზის ფაქტიური მოცულობების საფუძველზე. ჯგუფი ძირითადად მექანიკურ მრიცხველებს იყენებს, რაც საჭიროებს ჯგუფის თანამშრომლების ადგილზე მისვლას ჩვენების შესამოწმებლად. მრიცხველის ჩვენება მოწმდება სისტემატურად, მინიმუმ თვეში ერთხელ, მაგრამ არა აუცილებლად ყოველი თვის ბოლო დღეს, რის გამოც გარკვეულ პერიოდებში ბუნებრივი გაზი მიწოდებულია, მაგრამ მასზე ქვითარი გამოწერილი არ არის. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ანგარიშგების ნებისმიერი თარიღისათვის ჯგუფს რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის გაზი, რომელზეც ჯერ არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. შემოსავლების გამომწერის დრო, რომელზეც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან ანგარიშგების თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ შემოსავლებს და სავარაუდო შემოსავლებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

(iii) ქსელთან მიერთების საფასური

სემეკის (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია) მიერ დადგენილი წესით, ჯგუფი გაზგამანაწილებელ ქსელთან მიერთებულ ახალ აბონენტებს მიერთების გარკვეულ გადასახადს აკისრებს. მიერთების ღირებულება გამოითვლება ახალი აბონენტების მიერთებაზე ჯგუფის მიერ გაწეული საინჟინერიო დანახარჯების საფუძველზე და რეგულირდება სემეკის მიერ. ხელმძღვანელობა ამ მომსახურებას განიხილავს ცალკე ღირებულების შექმნად მომხმარებლისთვის და შემოსავალს აღიარებს ქსელთან მიერთების მომენტში.

(iv) მომსახურების გაწევა

შემოსავლები, რომლებიც უკავშირდება კლიენტებისთვის ტექნიკური და საინჟინერო ხასიათის მომსახურების გაწევას, ასევე კლიენტებისთვის გაზმომარაგების ქსელის გაყვანასა და ჯგუფის ქსელთან მათ მიერთებას, როგორც წესი, მოკლევადიანი ხასიათის არის და მათი აღიარება ხდება იმ დროს, გაიწევა მომსახურებები და შესაძლებელია კონსოლიდაციის მიღება.

შემოსავალი ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მომსახურებიდან. შემოსავალი ტრანსპორტირების მომსახურების მომხმარებელზე გადაცემიდან აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

(v) საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარებიდან წარმოშობილი საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში და შესულია კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში შემოსავლების მუხლში, მისი ოპერაციული ხასიათიდან გამომდინარე და ასევე შედის სხვა საოპერაციო შემოსავალში.

(vi) საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების სავარაუდო შემოდიხებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები შესულია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის მუხლში.

(vii) სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი მეტწილად უკავშირდება იჯარიდან შემოსავალს, კარბამიდის რეალიზაციას, სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებების ჩამოწერით მიღებულ შემოსავალს და სხვა მცირე შემოსავლებს. სხვა საოპერაციო შემოსავალი აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას კლიენტისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ მისაღებ საფასურზე. თუ ჯგუფი კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. ჯგუფი არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც ჯგუფს კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს ჯგუფის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც ჯგუფი გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

(ლ) გადასახადები

(I) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

ჯგუფის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა საოპერაციო ხარჯებში კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) გადასახადები (გაგრძელება)

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე
- ▶ როდესაც დებიტორული დავალიანება და კრედიტორული ვალდებულება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს

დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისგან დაბრუნებას ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, შესულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების ნაწილში წმინდა საფუძველზე.

(iii) საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებასთან ან დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

(მ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკში და სალაროში არსებულ ფულად სახსრებს, რასაც აკლდება დაუფარავი საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ითვლება ჯგუფის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

(ნ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, ნებისმიერი ანაზღაურების თანხის გამოკლებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ო) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ გადაიხადოს საიჯარო გადასახადები და აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას.

(ი) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და მანქანა-დანადგარების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადებს შორის მოკლე ვადაზე 2-დან 6 წლამდე პერიოდისთვის.

თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის ჯგუფზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით.

აქტივის გამოყენების უფლება ასევე გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში *არაფინანსური აქტივების გაუფასურება*.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ო) იჯარა (გაგრძელება)

(ii) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. საიჯარო გადასახდელები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლებით სარგებლობის ღირებულებას, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა ჯგუფის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფს, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. ცვლადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით (სანამ მათი გაწევა არ ხდება მარაგების საწარმოებლად) იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო გადახდების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშვება ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.

(iii) მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, საოფისე აღჭურვილობის იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანია. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ო) იჯარა (გაგრძელება)

ჯგუფი, როგორც მფლობელი

იჯარა, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

(პ) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო რწმუნება, რომ ასეთი გრანტი მიიღება და მასთან დაკავშირებული ყველა პირობა დაკმაყოფილდება. როდესაც გრანტი ეხება ხარჯების მუხლს, მისი სისტემატური აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც აღირიცხება ამ გრანტით დასაფარი შესაბამისი დანახარჯები. როდესაც გრანტი უკავშირდება აქტივს, იგი შემოსავლად აღირიცხება თანაბარი ოდენობებით შესაბამისი აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

როდესაც ჯგუფი იღებს არაფულადი აქტივების გრანტებს, აქტივი და გრანტი აღირიცხება მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულებით და აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში თანაბარი წლიური გადახდებით, საბაზისო აქტივიდან სარგებლის მოხმარების ტენდენციის მიხედვით.

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2021 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ საპროცენტო განაკვეთის ბენეფიციარების ფუნდამენტური რეფორმა - მე-2 ეტაპი: ცვლილებები ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 4 და ბასს (IAS) 16-ში
- ▶ „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება;

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, თუკი ისინი ჯგუფს მიესადაგება.

ბასს (IAS) 1-ის ცვლილება „ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“

2020 წლის იანვარში ბასსს-მა გამოცა ბასს (IAS) 1-ის 69-დან 76-მდე პუნქტების ცვლილება - მოკლე და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიცირების მოთხოვნების განსასაზღვრად. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რას გულისხმობს ანგარიშსწორების დაფარვის უფლება;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის;
- ▶ ამ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს შესაძლებლობა იმისა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად იქნება წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების ვადები არ იმოქმედებს მის კლასიფიკაციაზე.

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და გამოიყენება უკუქცევითი ძალით. დღეისათვის ჯგუფი აფასებს ცვლილებების გავლენას მიმდინარე პრაქტიკაზე და დასჭირდება თუ არა არსებულ სასესხო ხელშეკრულებებს ხელახალი შეთანხმება.

„კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“ - ფასს 3 სტანდარტის ცვლილებები

2020 წლის მაისში ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 3-ის („საწარმოთა გაერთიანება, კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“) ცვლილება. ამ ცვლილების მიზანია 1989 წელს გამოცემულ სტანდარტზე „ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის საფუძველი“ საცნობარო ინფორმაციის ჩანაცვლება 2018 წლის მარტში გამოცემული სტანდარტით „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები“, მისი მოთხოვნების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

პოტენციური „მე-2 დღის“ შემოსულობების ან ზარალის თავიდან ასარიდებლად საბჭომ ფასს (IFRS) 3-ის აღიარების პრინციპის გამონაკლისი შემთხვევა განსაზღვრა, რომელიც წარმოიშვა ისეთ ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე, რომლებიც, ცალკე გაწევის შემთხვევაში, ბასს (IAS) 37-ის ან ფასიკ (IFRIC) 21-ის („მოსაკრებლები“) ფარგლებში მოხვდება.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ამავდროულად, საბჭომ გადაწყვიტა ფასს (IFRS) 3-ის არსებული სახელმძღვანელო მითითების განმარტება პირობითი აქტივებისთვის, რომელზეც არ იმოქმედებს „ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პრინციპებზე“.

ცვლილებები ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდგომი საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მისი გამოყენება პერსპექტიულად ხდება.

„ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე - - ბასს (IAS) 16-ის ცვლილება

2020 წლის მაისში ბასს-მა გამოსცა „ძირითადი საშუალებები - შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“, რომელიც საწარმოებს უკრძალავს ძირითადი საშუალების ღირებულებიდან წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი ამონაგების გამოკლებას, ამგვარი აქტივის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ფორმით ფუნქციონირებისთვის საჭირო ადგილმდებარეობაზე და მდგომარეობაში მოყვანის დროს. ამის ნაცვლად, საწარმო აღიარებს ამონაგებს ამგვარი ერთეულების რეალიზაციიდან და მათი წარმოების ხარჯებს მოგებაში ან ზარალში.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს და ამ პერიოდის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ის რეტროსპექტიულად უნდა იქნას გამოყენებული იმ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდა ყველაზე ადრე წარმოდგენილი პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ამ ცვლილებას.

„დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - ბასს (IAS) 37-ის ცვლილება

2020 წლის მაისში ბასსს-მა გამოსცა ბასს (IAS) 37-ის ცვლილება იმის განსაზღვრად, საწარმოს რომელი ხარჯი საჭიროებს გათვალისწინებას იმის განსაზღვრისას ხელშეკრულება დამამძიმებელია, თუ ზარალის მომტანი.

ეს ცვლილება „პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯების მეთოდზე“ ვრცელდება. საქონლის ან მომსახურებების მიწოდების ხელშეკრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ზღვრული ხარჯებს და სახელშეკრულებო საქმიანობებთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების განაწილებას. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები პირდაპირ არ უკავშირდება ხელშეკრულებას და ისინი გამოირიცხება, სანამ გარკვევით არ იქნება განსაზღვრული, რომ ისინი ერიცხება ხელშეკრულების კონტრაქტს.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ჯგუფი ამ ცვლილებებს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლისთვისაც მას ჯერ არ შეუსრულებია ყველა ვალდებულება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც მან პირველად გამოიყენა ხსენებული ცვლილებები.

ფასს (IFRS) 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები - გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის“

ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების გაუმჯობესების პროცესის შემადგენელი ნაწილის სახით, ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 9 სტანდარტის ცვლილება. ცვლილება იძლევა იმ გადასახდელების კლასიფიცირებას, რომლებსაც მიმართავს საწარმო იმის განსაზღვრებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების ვადები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ვადებისგან. ეს მოიცავს მხოლოდ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის გადახდილ ან მიღებულ გადახდებს, მათ შორის მსესხებლის ან გამსესხებლის მიერ სხვა პირის სახელით განხორციელებულ ან მიღებულ გადახდებს. საწარმო იყენებს ფინანსური ვალდებულებების ცვლილებას, რომელიც იცვლება ან გადაიცვლება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების დღეს ან შემდეგ, რომელშიც პირველად გამოიყენება ცვლილება.

ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია მისი ვადაზე ადრე მიღება. ჯგუფი გამოიყენებს ფინანსური ვალდებულებების ცვლილებებს, რომლებიც იცვლება ან გადაიცვლება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების დღეს ან შემდეგ, რომელშიც პირველად გამოიყენება ცვლილება.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ბასს (IAS) 8-ის ცვლილება, რომელშიც ის სააღრიცხვო შეფასებების განმარტებას იძლევა. ცვლილებებით ხდება სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებას და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას შორის სხვაობის განმარტება და ხარვეზების გამოსწორება. ამასთან, განმარტებულია როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ტექნიკებს და შემოსულ რესურსებს სააღრიცხვო შეფასებების შესამუშავებლად. ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს დაწყებული და მისი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება ამ პერიოდში ან მისი დაწყების შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში განხორციელებულ ცვლილებებზე. ვადაზე ადრე გამოიყენება ნებადართულია ამ ფაქტის გამჟღავნების პირობით.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ბასს (IAS) 1-ის და ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის მე-2 განცხადების - *არსებითობასთან დაკავშირებული მსჯელობები* - ცვლილება, რომელშიც მან წარმოადგინა სახელმძღვანელო მითითებები და მაგალითები საწარმოების დასახმარებლად სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების არსებითობასთან დაკავშირებულ მსჯელობაში. ცვლილების მიზანია დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გაკეთებაში, რომლებიც მეტად სასარგებლოა საწარმოების „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკების გამჟღავნების მოთხოვნის ჩასანაცვლებლად მათი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკების გამჟღავნების მოთხოვნით და სახელმძღვანელო მითითების დასამატებლად იმაზე, თუ როგორ იყენებენ საწარმოები არსებითობის კონცეფციას სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ბასს (IAS) 1-ის ეს ცვლილება ვრცელდება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება. რადგან პრაქტიკული განცხადების 2 ცვლილება უზრუნველყოფს არასავალდებულო სახელმძღვანელო მინიშვნებს ტერმინის „არსებითი“ განმარტების სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციაში გამოყენებაზე, ამ ცვლილების ძალაში შესვლის თარიღი საჭირო არ არის.

ჯგუფი აფასებს ამ ცვლილების გავლენას იმ გავლენის განსაზღვრებაზე, რომელიც მათ აქვთ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ჯგუფზე.

სხვა გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში. მოსალოდნელი არ არის, რომ ეს სტანდარტები გავლენას მოახდენენ ჯგუფზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „*სადაზღვევო ხელშეკრულებები*“
- ▶ ფასს (IFRS) 1 - „*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*“ - შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს.
- ▶ ბასს (IAS) 41 „*სოფლის მეურნეობა*“ - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის განსჯა, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

(I) დროში სხვაობა

ბუნებრივი გაზის რეალიზაციის აღიარება ხდება მომხმარებლების მიერ მრიცხველის მიხედვით გაზის მოხმარების საფუძველზე. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ანგარიშგების ნებისმიერი თარიღისათვის ჯგუფს რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ბუნებრივი გაზი, რომელზეც არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. შემოსავლების გამომანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან ანგარიშგების თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ შემოსავლებს და სავარაუდო შემოსავლებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაზის ახალი მომხმარებლის ქსელთან მიერთების შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი არის ცალკე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი და მას აღიარებს გაზგამანაწილებელ ქსელთან მომხმარებლის მიერთებისას.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(i) არაფინანსური აქტივების გაუფასურების შემოზღუდვა

გაუფასურების შემოზღუდვას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არსებობს იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შეზღუდვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. რეალიზაციის ფასით შემცირებული სამართლიანი ღირებულება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად თანხად განისაზღვრა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება შეფასდა ანალოგიური აქტივების გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული გაყიდვის გარიგებებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ან ემპირიული ფასების მიხედვით, რასაც აკლდება აქტივის გასხვისებასთან დაკავშირებული ზღვრული ხარჯები და მგრძნობიარეა ლიკვიდურობის პერიოდში. ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი თანხის განსასაზღვრად გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები, მათ შორის მგრძნობელობის ანალიზი, განხილულია და დამატებით განმარტებულია მე-9 შენიშვნაში.

(ii) სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

ჯგუფი აღიარებს რეზერვებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას.

ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფმა გამოიყენა მისი საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელი, რომელიც მოვალეების მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს მოერგო.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

ამგვარად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი არაუზრუნველყოფილი თანხების რეზერვი 21,345 ლარის (2020 წ.: 15,204 ლარი) ოდენობით სავალო ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებაა (მე-8 და მე-12 შენიშვნები).

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(iii) საინვესტიციო ქონების შეფასება

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით და სამართლიანი ღირებულების კლებას და მატებას აღიარებს სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. შეფასების მეთოდად გამოყენებულია ბაზრის შედარებისა და ფასის ჩანაცვლების მეთოდები. ჯგუფმა გარე სპეციალისტს დაავალა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (24-ე შენიშვნა).

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ვერ შეფასდება აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასებით, მათი სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადის (DCF) მოდელში შესული შეფასების მეთოდით. ფულადი ნაკადები წარმოიქმნება კაპიტალში ინვესტიციის მომდევნო ხუთი წლის ბიუჯეტიდან. სამართლიანი ღირებულების თანხა მგრძნობიარეა დისკონტირებული განაკვეთის მიმართ, ექსტრაპოლაციის მიზნით.

6. შემოსავალი

	2021	2020
ბუნებრივი გაზი – საბითუმო რეალიზაცია	881,283	856,652
ნავთობპროდუქტები	865,141	529,088
ბუნებრივი გაზი – კომუნალური მომსახურება	273,664	246,071
ბუნებრივი გაზი – გაზგასამართი სადგურები	52,220	38,917
გაზიფიკაციის, დამონტაჟების და სარემონტო მომსახურება (ა)	30,474	22,695
ბენზინგასამართი სადგურების მაღაზიები (ბ)	29,831	20,490
ნავთობშემცველი პროდუქტების ტრანსპორტირება (გ)	2,255	2,459
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	2,134,868	1,716,372
სხვა საოპერაციო შემოსავალი (დ)	40,982	25,048
სულ შემოსავალი	2,175,850	1,741,420

- (ა) ჯგუფი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უწევს გაზიფიკაციის, დამონტაჟებისა და სარემონტო მომსახურებას. ამ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი სამუშაოების დასრულების მომენტში.
- (ბ) გაზისა და ნავთობშემცველი პროდუქტების რეალიზაციის გარდა ჯგუფი ასევე ფლობს თავის ბენზინგასამართ სადგურებთან არსებული მაღაზიების ქსელს. ამ პროდუქტების შესაბამისი თვითღირებულება წარმოდგენილია როგორც სხვა გაყიდული საქონლის თვითღირებულება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.
- (გ) ჯგუფი ნავთობშემცველი პროდუქტების ტრანსპორტირების მომსახურებას უწევს თავის საბითუმო კლიენტებს.
- (დ) სხვა საოპერაციო შემოსავლის ზრდა უკავშირდება „ინტერპრაიმ კორპორაციის“ მიმართ არსებული კრედიტორული ვალდებულების ჩამოწერას 8,365 ლარის ოდენობით (მე-20 შენიშვნა).

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. შემოსავალი (გაგრძელება)

ჯგუფმა აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2021	2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	277,996	291,781
სახელშეკრულებო ვალდებულებები	2,791	29,218

სავაჭრო დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. კომუნალური ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია ლარში. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ნავთობპროდუქტების და ბუნებრივი გაზის ბითუმად გაყიდვიდან ლარში და აშშ დოლარშია გამოხატული. სავაჭრო დებიტორული დავალიანება უპროცენტოა. სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთის კლება მეტწილად უკავშირდება ბუნებრივი გაზის შემცირებულ რეალიზაციას 2021 წლის დეკემბრის თვეში 48,204 ლარის ოდენობით, დაკავშირებულ მხარე კონტრაქტორთან - შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“.

2,791 ლარის ოდენობით ჯგუფის სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება მოსალოდნელია 2022 წლის შემოსავლის სახით, რომელიც უკავშირდება საანგარიშგებო თარიღში დაუკმაყოფილებელი შესასრულებელ ვალდებულებებს. 29,218 ლარი, რომელიც შესული იყო საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში სახელშეკრულებო ვალდებულებებში აღიარებულია 2021 წლის შემოსავლად (2020 წ.: 5,046 ლარი).

მნიშვნელოვანი კლება 2021 წლის სახელშეკრულებო ვალდებულებებში მეტწილად გამოწვეული იყო საქართველოს მთავრობისგან 2020 წელს მიღებული ავანსებით 21,080 ლარის ოდენობით, რომლითაც მოხდა ისეთი ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის გაზის მოხმარების სუბსიდირება, რომლებიც თვეში 200 მ³-ზე ნაკლებ ბუნებრივ გაზს მოიხმარდნენ 2021 წლის იანვრის განმავლობაში, რასაც ადგილი არ ჰქონია 2022 წლის იანვრის თვეში.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
გაზიფიკაციის და შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების დანახარჯები	22,246	13,012
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	10,970	9,961
კომუნალური მომსახურება და კავშირგაბმულობა	8,964	5,500
ობიექტების იჯარა	3,487	2,492
ბანკის საკომისიო	3,275	3,044
პროფესიული მომსახურება	2,663	2,559
ბუნებრივი გაზის სისტემის რეგულირების მოსაკრებელი	2,173	2,171
საგადასახადო ჯარიმები (ა)	1,428	3,178
ნავთობის ხარჯების შემოწმება და ხარისხის კონტროლი	1,307	866
სხვა ჯარიმები და საურავები (ბ)	1,103	4,306
დაზღვევა	997	901
ქველმოქმედება და სპონსორობაზე	635	724
სამგზავრო და წარმომადგენლობითი ხარჯები	552	402
სათადარიგო ნაწილების ჩამოწერა	366	57
საწვავი	287	1,553
სხვა	13,822	13,915
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	74,275	64,641

- (ა) საგადასახადო ჯარიმები მოიცავს გარკვეული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებების დაგვიანებით გადახდის გამო დაკისრებულ ჯარიმებს.
- (ბ) სხვა ჯარიმები მოიცავს ვადაგადაცილებული გადახდებისთვის რამდენიმე მომწოდებლის მიერ ჯგუფზე დაკისრებულ ჯარიმებს.

8. შექმნილი ანარიცხები, წმინდა

	სავაჭრო დებიტორული დავალიანება	სხვა აქტივები	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	27,012	3,229	30,241
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	18,596	115	18,711
ანარიცხების ჩამოწერა	(32,508)	(1,240)	(33,748)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	13,100	2,104	15,204
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	22,085	472	22,557
ანარიცხების ჩამოწერა	(15,752)	(664)	(16,416)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	19,433	1,912	21,345

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	მილსადენები	შენობა– ნაგებობები	მანქანა– დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები და ავეჯი	კომპიუტერები და საკომუნიკაციო ტექნიკა	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	51,008	774,425	243,261	76,600	14,918	10,935	12,187	2,612	1,185,946
შესყიდვები	–	–	45	240	298	–	1,474	73,556	75,613
გასვლები	(2,789)	(621)	(2,317)	(1,182)	(677)	(122)	(643)	(2,932)	(11,283)
გადატანები	13	67,780	1,993	159	1,304	430	(1,085)	(70,594)	–
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	48,232	841,584	242,982	75,817	15,843	11,243	11,933	2,642	1,250,276
შესყიდვები	1,701	267	208	1,198	3,634	151	749	63,105	71,013
გასვლები	–	(47)	(1,714)	(334)	(114)	(33)	(218)	(3,387)	(5,847)
გადატანები აქტივების გამოყენების უფლებიდან (მე–10 შენიშვნა)	–	–	–	–	4,731	–	–	–	4,731
გადატანები დაუმთავრებელი მშენებლობიდან მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერა	–	51,124	9,638	–	–	–	–	(60,762)	–
გაუფასურების შემობრუნების გამო (ბ)	–	–	(94,371)	(42,461)	(7,955)	(5,517)	(4,952)	–	(155,256)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	49,933	892,928	156,743	34,220	16,139	5,844	7,512	1,598	1,164,917
ცვეთა და გაუფასურება									
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	837	143,701	102,314	32,336	10,108	8,632	6,541	2,255	306,724
ცვეთა წლის განმავლობაში	–	17,596	11,396	5,691	1,318	803	1,965	–	38,769
გასვლები	–	(65)	(2,294)	(1,131)	(626)	(119)	(4)	–	(4,239)
გაუფასურების ხარჯი (ა)	4,217	–	26,466	5,986	1,049	763	–	–	38,481
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	5,054	161,232	137,882	42,882	11,849	10,079	8,502	2,255	379,735
ცვეთა წლის განმავლობაში	–	19,548	13,659	5,946	1,592	1,605	1,439	–	43,789
გასვლები	–	(41)	(1,074)	(113)	(96)	(33)	(136)	–	(1,493)
გადატანები აქტივების გამოყენების უფლებიდან (მე–10 შენიშვნა)	–	–	–	–	1,064	–	–	–	1,064
გაუფასურების ხარჯის (დარიცხვა)/შემობრუნება (ა)	3,779	–	(44,848)	3,178	43	(1,790)	203	(2,255)	(41,690)
მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერა	–	–	(94,371)	(42,461)	(7,955)	(5,517)	(4,952)	–	(155,256)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	8,833	180,739	11,248	9,432	6,497	4,344	5,056	–	226,149
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2020 წლის 31 დეკემბერს	43,178	680,352	105,100	32,935	3,994	1,164	3,431	387	870,541
2021 წლის 31 დეკემბერს	41,100	712,189	145,495	24,788	9,642	1,500	2,456	1,598	938,768

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მილსადენებით უზრუნველყოფილია ქართული ბანკებიდან აღებული სესხები (მე-16 შენიშვნა).

(ა) ძირითადი საშუალებების შემოწმება გაუფასურებაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი შედეგადად ფულადი სახსრების წარმომქმნელი ორი ერთეულისგან, რომლებიც ემთხვევა ჯგუფის საოპერაციო სეგმენტებს (22-ე შენიშვნა). საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფის ხელმძღვანელობა გაუფასურების მაჩვენებლებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის ცალკე განიხილავს.

გაუფასურების მაჩვენებლების გაანალიზების შედეგად ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ბუნებრივი გაზის სეგმენტისთვის არ არსებობს გაუფასურების მაჩვენებლები, ხოლო ნავთობპროდუქტების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის მაჩვენებლები არსებობს გაუფასურების შემოზღუდვისთვის. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ნავთობპროდუქტების ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების აქტივების ანაზღაურებადი თანხის დასაანგარიშებლად ჯგუფმა დამოუკიდებელი შემფასებელი - PWC დაიქირავა.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად, გაყიდვის ფასით შემცირებული სამართლიანი ღირებულება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის საუკეთესო გამოყენებად ჩაითვა და უმაღლეს ანაზღაურებად თანხად განისაზღვრა.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა საბაზრო და დანახარჯების მიდგომების გამოყენებით. საბაზრო მიდგომა მეტწილად გამოიყენება მიწის ნაკვეთების და საკომუნიკაციო და კომპიუტერული აღჭურვილობის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრად. შემფასებელმა გაანალიზა შესადარის მდგომარეობაში არსებული ანალოგიური აქტივების საბაზრო ფასები და ზუსტი ანალოგების არარსებობის შემთხვევებში კორექტირებები შეიტანა.

დანახარჯების მეთოდის ფარგლებში, შემფასებელმა განსაზღვრა რეპროდუქციის ხარჯი ან ჩანაცვლების ხარჯი პირდაპირი და ინდექსირების მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი მეთოდის ფარგლებში შემფასებელმა დაიანგარიშა გამოცვლის თვითღირებულება ახალი ერთეულებისთვის და დამატებით გამოიყენა ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური ცვეთა. ინდექსირების მეთოდი გამოიყენება აქტივებისთვის, რომლისთვისაც ვერ მოიძებნა აქტიური მეორადი ბაზრის წინადადებები. ინდექსირების მეთოდის ფარგლებში შემფასებელმა გამოიყენა თავდაპირველი საბაზრო ღირებულების კორექტირება ზოგად ინდექსებში ცვლილებების საფუძველზე.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(ა) ძირითადი საშუალებების შემოწმება გაუფასურებაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჩატარებული შეფასების შედეგად, განისაზღვრა გაუფასურების ზარალის შემოზღუდვა 41,690 ლარის ოდენობით და აღიარდა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. აქტივების გაყიდვის ღირებულებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება განსაკუთრებით მგრძნობიარეა ლიკვიდურობის პერიოდის 5-დან 3 წლამდე შემცირების მიმართ აქტივებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ სტრატეგიული ადგილმდებარეობა ან ჩაითვალა მეტად ლიკვიდურად. ეს გამოიწვევს გაყიდვის ღირებულებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების 14%-იან ზრდას 30,753 ლარის ოდენობით.

(ბ) ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულების დაგროვილი ცვეთის ჩამოწრა

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ნავთობპროდუქტების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის განსაზღვრული წმინდა საბალანსო ღირებულების საფუძველზე ჯგუფმა სრულად ჩამოწრა ძირითადი საშუალებების ამორტიზებული ნაშთები.

10. იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფს აქვს საოფისე შენობის, ნავთობისა და გაზისთვის საჭირო ქონებების და სხვა აქტივების იჯარის ხელშეკრულებები, 2-დან 6 წლამდე იჯარის ვადით. ჯგუფმა ისარგებლა გათავისუფლების უფლებით მოკლევადიანად და დაბალფასიანად კლასიფიცირებული იჯარებისთვის. ქვემოთ განსაზღვრულია აღიარებული აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება:

	შენობა– ნაგებობები	მანქანა– დანადგარები და აღჭურვილობა	სხვა	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	18,192	9,433	1,661	29,286
შესყიდვები	–	5,527	6,995	12,522
ცვეთის ხარჯი	(4,545)	(2,869)	(2,252)	(9,666)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,647	12,091	6,404	32,142
შესყიდვები	–	1,337	–	1,337
ცვეთის ხარჯი	(4,544)	(1,522)	(1,590)	(7,656)
სახელშეკრულებო ხელშეკრულებების მოდიფიცირება (ა)	–	–	(634)	(634)
ძირითადი საშუალებების გადაცემა შესყიდვის უფლების გამოყენებისას	–	(3,667)	–	(3,667)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,103	8,239	4,180	21,522

(ა) ჯგუფს ჰქონდა რამდენიმე საიჯარო ხელშეკრულება ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე. 2021 წლის განმავლობაში, ეს ხელშეკრულებები შეიცვალა და მასში შემცირდა ყოველთვიური საფასური.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. იჯარა (გაგრძელება)

ჯგუფი, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2021	2020
1 იანვარს	32,525	30,612
შესყიდვები	1,337	12,522
გადახდილი ძირითადი თანხა	(12,340)	(11,963)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	2,698	1,630
გადახდილი პროცენტი	(2,698)	(1,630)
მოდифიცირება (საზღაურის ცვლილება)	(634)	–
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა (შემოსულობა)/ზარალი	(1,261)	1,354
31 დეკემბრს	19,627	32,525
გრძელვადიანი წილი	10,742	20,502
მიმდინარე წილი	8,885	12,023

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

	2021	2020
აქტივის გამოყენების უფლების ხარჯის ამორტიზაცია	7,656	9,666
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	2,698	1,630
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა (შემოსულობა)/ზარალი	(1,261)	1,354
მოკლევადიან იჯარებთან, დაბალი ღირებულების მქონე აქტივებთან და ცვალებად საიჯარო გადასახდელებთან დაკავშირებული ხარჯები	3,487	2,492
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	12,580	15,142

2021 წელს იჯარებისთვის მთლიანმა ფულადმა ნაკადებმა, მათ შორის მოკლევადიანი და დაბალფასიანი აქტივების იჯარებისა, 18,525 ლარი (2020 წ.: 16,085 ლარი) შეადგინა.

11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2021	2020
დიზელი ნავთობბაზებში	16,096	13,893
ბენზინი ნავთობბაზებში	15,625	8,071
ნავთობშემცველი პროდუქტები ბენზინგასამართი სადგურებზე	14,257	8,462
საქონელი გზაში	4,017	2,496
სათადარიგო ნაწილები	3,571	5,030
საქონელი ბენზინგასამართ სადგურებზე არსებულ მაღაზიებში	3,512	2,922
ბუნებრივი გაზი	1,771	1,208
სხვა ნავთობშემცველი პროდუქტები	98	258
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5,344	3,346
	64,291	45,686

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 61,614 ლარის ოდენობით სასაქონლო-მატერიალური მარაგები დაგირავებულია ქართული ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	2021	2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანება ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან (საბითუმო)	186,780	208,401
სავაჭრო დებიტორული დავალიანება ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან (კომუნალური)	65,834	35,714
სავაჭრო დებიტორული დავალიანება ნავთობპროდუქტების გაყიდვიდან	30,957	26,852
სავაჭრო დებიტორული დავალიანება გაზიფიკაციიდან	8,459	8,165
სავაჭრო დებიტორული დავალიანება ტექნიკური სამუშაოებიდან და სხვა მომსახურებიდან	5,399	25,749
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით (მე-8 შენიშვნა)	(19,433)	(13,100)
	277,996	291,781

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში შესული კრედიტის ხარისხის მიხედვით ანალიზი ასეთია:

2021 წლის 31 დეკემბერი	<30 დღე	30–60 დღე	61–90 დღე	>90 დღე (ა)	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.50%	1.15%	1.87%	78.82%	6.53%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება	248,309	16,897	9,623	22,600	297,429
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,244)	(195)	(180)	(17,814)	(19,433)

(ა) 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთი ძირითადად შედგება შპს „ჯივიპის“ დავალიანებისგან შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიმართ. 90 დღით ვადაგადაცილებული ყველა დებიტორული დავალიანება სრულად დაიფარა შემდგომ პერიოდებში.

2020 წლის 31 დეკემბერი	<30 დღე	30–60 დღე	61–90 დღე	>90 დღე (ბ)	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	1.08%	2.37%	8.87%	16.89%	4.30%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება	205,001	35,915	9,578	54,387	304,881
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,215)	(851)	(850)	(9,184)	(13,100)

(ა) 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთი ძირითადად შედგება „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენის ჯგუფის“ დავალიანებისგან 24,546 ლარის ოდენობით. ჯგუფი არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო, რომლის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის სოკარი. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით რისკები არ ჰქონდა, რადგან ჯგუფს მშობელი კომპანია აკონტროლებს, რომელსაც, თავის მხრივ, აკონტროლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკა, და ამრიგად, აქვს სუვერენული საკრედიტო რისკი. ამასთან, ჯგუფს ჰქონდა 18,702 ლარის ოდენობით სავაჭრო კრედიტორული დავალიანება იმავე კომპანიის მიმართ. დარჩენილი არ გაუფასურებული დებიტორული დავალიანებიდან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით, 22,266 ლარი შემსრულებელს შპს „Gas Trading“ უკავშირდებოდა. მომდევნო პერიოდში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი გადახდის (8,250 ლარი) და სხენებული შემსრულებლის მიმართ ჯგუფის 14,016 ლარის ოდენობით კრედიტორული დავალიანების გამო, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანების კონკრეტული გადახედვის შემდეგ გაუფასურება არ აღიარებულა.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. სხვა აქტივები

	2021	2,020
გრძელვადიანი		
გაცემული სესხები	–	1,819
	–	1,819
მიმდინარე		
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	8,379	7,462
გაცემული სესხები	1,667	1,401
სხვა აქტივები	3,519	3,824
გამოკლებული: რეზერვი (მე-8 შენიშვნა)	(1,912)	(2,104)
	11,653	10,583

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2021	2020
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	22,512	83,181
ნაღდი ფული სალაროში	143	109
	22,655	83,290

ფულადი სახსრები განთავსებულია წამყვან ქართულ ბანკებში. ფულად ანგარიშებს ერიცხება პროცენტი, რომლის ოდენობაც უმნიშვნელოა.

15. კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 409,291 ლარს შეადგენს. 31 დეკემბრისთვის წილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მფლობელის სახელი:	2021	2020
მშობელი კომპანია	75.505%	75.505%
„EVENTUS GENERAL TRADING FZE“	16.330%	16.330%
„INTERSUN HOLDING FZCO“	8.165%	8.165%

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოდგენილია ჯგუფის მშობელი კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალში დამატებით განხორციელებული შენატანებით და მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხის ტრანშების სამართლიან ღირებულებასა და თავდაპირველად აღიარებისას არსებულ ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობით.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სესხები და ნასესხები სახსრები

	ვალუტა	ხელშეკრულების ვადა	ეფექტური საპროცენტო განაკვეთები	2021	2020
ადგილობრივი ბანკებისგან ნასესხები ფულადი სახსრები (ა)	აშშ დოლარი/ლარი	2022–2024	5.5%–16%	439,794	449,348
მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხი (ბ)	აშშ დოლარი	28–ოქტ–24	5.50%	142,082	147,874
EVENTUS GENERAL TRADING FZE (გ)	აშშ დოლარი	30–აპრ–23	1.80%	18,763	19,556
შპს "სოკარ ოვერსიზ" (დ)	აშშ დოლარი	27–აპრ–25	2.45%	110,981	116,479
შპს "სოკარ ოვერსიზ" (დ)	აშშ დოლარი	25–აგვ–26	2.65%	50,695	52,889
AKKERT S.A (ე)	აშშ დოლარი	31–დეკ–22	7%	7,507	7,418
შპს „ჯორჯიან პეტროლეუმი“	აშშ დოლარი	31–დეკ–21	8%	–	11,546
სს „აგრარკედიტი“ (ვ)	აშშ დოლარი	მოთხოვნამდე	5%	19,587	20,343
				789,409	825,453
გრძელვადიანი წილი				344,433	443,307
მიმდინარე წილი				444,976	382,146

(ა) ადგილობრივი ბანკებისგან ნასესხები ფულადი სახსრები

ადგილობრივი ბანკებიდან აღებული სესხების მიზანია ჯგუფის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის დაფინანსება. ადგილობრივ ბანკებთან გაფორმებული ყველა სასესხო ხელშეკრულება ჯგუფს ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს დარღვეული ჰქონდა ადგილობრივი ბანკებისგან აღებული ყველა სესხის პირობები. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ყველა დარღვევაზე აქვს მიღებული მოთხოვნის უფლების დათმობის წერილები, რითაც ბანკები თმობენ სესხის პირობების დარღვევის გამო დავალიანების დაფარვის მოთხოვნის უფლებას წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გაცემის თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ჯგუფი არ მოელის ამ სესხებიდან რომელიმეს დაფარვას მათი სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე.

(ბ) მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხი

მშობელი კომპანიისგან სესხი მიღებული იქნა 2006 წლის 3 ნოემბერს თითოეული ტრანშის მიღებიდან 3 წლის ვადით, სულ 26,000,000 აშშ დოლარის ოდენობით. თითოეულ ტრანშს დაფარვის ინდივიდუალური გრაფიკი აქვს. სასესხო ხელშეკრულების პირობები რამდენჯერმე შეიცვალა. 2019 წელს საიჯარო ცვლილებების თანახმად, დაფარვის ვადა 2024 წლამდე გახანგრძლივდა. სესხის თითოეული ტრანში განცალკევებით აღირიცხება და მისი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სხვაობა სესხის სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის აღიარებულია დამატებით შეტანილ კაპიტალში.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სესხები (გაგრძელება)

(გ) EVENTUS GENERAL TRADING FZE-ისგან მიღებული სესხი

2016 წლის 25 მარტს ჯგუფმა ისესხა 20,000,000 აშშ დოლარი (44,574 ლარი) ჯგუფის არასაკონტროლო პაკეტის მფლობელისგან - EVENTUS GENERAL TRADING FZE. ამ სესხის ვადა ათვისების თარიღიდან 7 წელია.

(დ) შპს "სოკარ ოვერსიზისგან" მიღებული სესხი

2017 წლის 7 ივნისსა და 11 ოქტომბერს ჯგუფმა შპს „სოკარ ოვერსიზისგან“ გაზიფიკაციის პროექტის დასაფინანსებლად ისესხა 34,600,000 აშშ დოლარი (83,345 ლარი) და 16,000,000 აშშ დოლარი (39,679 ლარი). სესხის დაფარვის ვადა 209 წლის 22 თებერვალს შესაბამისად გახანგრძლივდა 2025 წლის აპრილამდე და 2026 წლის აგვისტომდე. 2021 წლის განმავლობაში ხელშეკრულება შეიცვალა და შემცირდა შპს „სოკარ ოვერსიზისთვის“ გადასახდელი პროცენტის რაოდენობა. სესხის მოდიფიცირებისას ჯგუფმა აღიარა ფინანსური შემოსავალი 2,453 ლარის ოდენობით.

(ე) AKKERT S.A

2019 წლის 18 ოქტომბერს ჯგუფმა არაფინანსური ორგანიზაციისგან „AKKERT S.A.“ სესხად აიღო 2,100,000 აშშ დოლარის (6,233 ლარი) ოდენობით თანხა, ფინანსური საქმიანობებისთვის. 2021 წლის 31 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, დაფარვის ვადა 2022 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა. სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი 7%-ით განისაზღვრა.

(ვ) სს „აგრაკრედიტი“

2017 წლის 11 დეკემბერს ჯგუფმა შეისყიდა შპს „Black Sea Industry“-ის (BSI) 100%-იანი წილი, რომელიც აქტივების შესყიდვის სახით აღირიცხა. ამ ნასყიდობის შედეგად, ჯგუფზე გადავიდა BSI-ის სასესხო კრედიტორული ვალდებულება სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველოს“ მიმართ 16,199 ლარის (6,249,116 აშშ დოლარი) ოდენობით. 2017 წლის 30 აგვისტოს სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველომ ეს სესხის სს „აგრაკრედიტზე“ გაყიდა. 2019 წლის 18 ივლისს ჯგუფმა და სს „აგრაკრედიტმა“ გააფორმეს სესხის რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება გადახდის ახალი გრაფიკით. ამ გრაფიკის თანახმად, ძირითადი თანხის და პროცენტის მთლიანი კრედიტორული ვალდებულება 2021 წლის ნოემბრამდე უნდა დაფარულიყო. ჯგუფმა არ შეასრულა ხელშეკრულება და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხი 'მოთხოვნისას დასაფარად' განსაზღვრა.

შემდგომ პერიოდში 2022 წლის 27 მაისს ჯგუფსა და სს „აგრაკრედიტს“ შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება. შედეგად ახალი დაფარვის ვადა 2027 წლის 1 მარტით განისაზღვრა. სს „აგრაკრედიტს“ არ დაურიცხავს არსებითი ჯარიმა.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

16. სესხები (გაგრძელება)

(ზ) ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2021	2020
მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხის საპროცენტო ხარჯი	8,819	9,992
სხვა სესხებზე გაწეული საპროცენტო ხარჯი	62,132	53,332
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე გაწეული ფინანსური ხარჯი	5,120	4,908
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	2,698	1,630
	78,769	69,862

(თ) ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2021	2020
1 იანვარს	825,453	735,395
მიღებული ძირითადი თანხა	400,283	520,079
გადახდილი ძირითადი თანხა	(417,359)	(471,910)
დარიცხული პროცენტი	70,951	63,324
გადახდილი პროცენტი	(62,037)	(61,549)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც მოდიფიცირებისას აღიარდება	(2,453)	(14,217)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა (შემოსულობა)/ზარალი	(25,429)	54,331
31 დეკემბერს	789,409	825,453

(ი) ფინანსური შემოსავალი

	2021	2020
LIBOR-ის და შესაბამისი ფულადი ნაკადების შემცირებასთან დაკავშირებული შემოსულობა	–	6,760
სესხის მოდიფიცირებასთან დაკავშირებული შემოსულობა	2,453	7,457
სხვა	495	468
	2,948	14,685

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. სახელმწიფო გრანტი და ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულება

<i>სახელმწიფო გრანტი</i>	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	67,993	37,701
წლის განმავლობაში მიღებული	15,111	33,968
კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში აღიარებული	(7,072)	(3,676)
31 დეკემბრის მდგომარეობით	76,032	67,993
მიმდინარე წილი	7,493	6,086
გრძელვადიანი წილი	68,539	61,907

<i>ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულება</i>	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	50,752	30,072
შესყიდვები წლის განმავლობაში (ა)	6,268	15,721
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე გაწეული ფინანსური ხარჯი	5,120	4,908
მოკლევადიანად/მოკლევადიანიდან რეკლასიფიცირებული	(6,958)	51
31 დეკემბრის	55,182	50,752

- (ა) 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა გააფორმა სამი ხელშეკრულება (2020 წ.: ხუთი) სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან მილსადენის ქსელის ნასყიდობაზე ღირებულებით 21,379 ლარი (2020 წ.: 48,767 ლარი). ეს ხელშეკრულებები მთავრობამ შეადგინა და ჯგუფს გადასცა. სხვაობა ვალდებულების სამართლიან ღირებულებასა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის 15,111 ლარის ოდენობით (2020 წ.: 33,968 ლარი) აღიარდა სახელმწიფო გრანტის სახით. ხსენებული ვალდებულების სამართლიანი ღირებულება - 6,268 ლარი (2020 წ.: 14,799 ლარი), რომელიც დაანგარიშდა აღიარებისას საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების სახით, აღრიცხულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან. გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანების მთლიანი ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უკავშირდება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (2020 წ.: 49,830 ლარი)

18. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება

	2021	2020
ბუნებრივი გაზის შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული კრედიტორული ვალდებულება (ა)	473,587	489,339
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულება (ბ)	19,847	14,651
ნავთობშემცველი პროდუქტების შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული კრედიტორული ვალდებულება (ა)	76,001	77,952
სხვა კრედიტორული ვალდებულება	13,555	11,142
	582,990	593,084

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

18. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება (გაგრძელება)

(ა) გაზისა და ნავთობშემცველი პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებული კრედიტორული ვალდებულება

ზემოაღნიშნული ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო პირობებია:

- ▶ სავაჭრო კრედიტორული ვალდებულება უპროცენტოა და მისი დაფარვის ვადა, ჩვეულებრივ, 45 დღეში დგება;
- ▶ სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება ძირითადად ლარსა და აშშ დოლარშია გამოხატული;
- ▶ სავაჭრო კრედიტორული ვალდებულება ძირითადად საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ არსებობს. ამ კრედიტორული ვალდებულების მნიშვნელოვანი ნაწილი ვადაგადაცილებულია. სავაჭრო დებიტორული დავალიანების ვადაგადაცილების დაშვება მშობელი კომპანიის მიერ ჯგუფის დაფინანსების ერთ-ერთი მექანიზმია.

(ბ) ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულება

ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულებები ძირითადად გაზიფიკაციის პროექტებს უკავშირდება.

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

მიმოხილვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისგან, ნასესხები სახსრებისგან, საიჯარო ვალდებულებისგან, სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებისგან, ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან მიღებული გრძელვადიანი ვალდებულებისგან და ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება და თავდებობების გაცემა თავისი ოპერაციების მხარდასაჭერად. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, წილობრივ ინსტრუმენტებს და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება.

ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. ჯგუფი არის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილი იმართება და კონტროლდება მშობელი კომპანიის დონეზე. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა ჯგუფს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფს საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანება) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან, სავალუტო გარიგებებიდან და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთი შედგება იმ აბონენტებისგან მისაღები თანხებისგან, რომლებსაც ჯგუფი ბუნებრივ გაზს აწვდის და საბითუმო მომხმარებლებისგან მისაღები თანხებისგან, რომლებიც ჯგუფისგან ნავთობპროდუქტებს ყიდულობენ. სხვა აქტივების დიდი ნაწილი მოიცავს იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მისაღებ გაზიფიკაციის მომსახურების საფასურს.

ჯგუფის სავაჭრო დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მართვის შესახებ უფრო დაწვრილებით არის განხილული მე-12 შენიშვნაში.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც ჯგუფთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა საანგარიშგებო თარიღისთვის:

	საბალანსო ღირებულება	
	2021	2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-12 შენიშვნა)	277,996	291,781
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (მე-14 შენიშვნა)	22,512	83,181
გაცემული სესხები (მე-13 შენიშვნა)	1,667	3,220
სხვა აქტივები (მე-13 შენიშვნა)	3,519	3,771
	305,694	381,953

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. ჯგუფს მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს, ამიტომ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს ჯგუფს საკმარის მოქნილობას ვალდებულებების დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც აუცილებელია მომავალში ბიზნესის საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად. მე-2 შენიშვნაში მოცემულია ჯგუფის დაშვებები ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასებასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემული ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები, პროცენტის სავარაუდო გადახდების ჩათვლით. არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების მიხედვით ანალიზში შემავალი ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

2021 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო დირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და ნასესხები					
სახსრები(მე-16 შენიშვნა)	789,409	851,017	471,672	379,345	–
საიჯარო ვალდებულება (მე-10 შენიშვნა)	19,627	22,744	10,342	11,984	418
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება (მე-18 შენიშვნა)	582,990	582,990	582,990	–	–
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულება	55,182	138,558		30,799	107,759
გაცემული გარანტიები (მე-20 შენიშვნა)	–	11,510	11,510	–	–
	1,447,208	1,606,819	1,076,514	422,128	108,177

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელმწიფო- ლუბო ფულადი ნაკადები	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და ნასესხები					
სახსრები(მე-16 შენიშვნა)	825,453	919,257	413,558	492,461	13,238
საიჯარო ვალდებულება (მე-10 შენიშვნა)	32,525	37,534	14,989	21,609	936
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება (მე-18 შენიშვნა)	593,084	593,084	593,084	–	–
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულება (მე-17 შენიშვნა)	50,752	125,536	–	32,089	93,447
გაცემული გარანტიები (მე-20 შენიშვნა)	–	22,160	22,160	–	–
	1,501,814	1,697,571	1,043,791	546,159	107,621

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს შეიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკი მოქმედებს, არის სესხები, სავაჭრო კრედიტორული ვალდებულება, მიმდინარე ანგარიშები ბანკებში და სავაჭრო დებიტორული დავალიანება.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ეხება პოზიციას 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მომზადებულია იმ საფუძველზე, რომ წმინდა ვალის ოდენობა, სესხის განაკვეთის პროფილი და ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტებში მუდმივია.

ჯგუფს აქვს ღია საპროცენტო და სავალუტო პოზიცია, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. ჯგუფისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ჯგუფი არ ახდენს სავალუტო კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკზე დამოკიდებულება

ჯგუფის სავალუტო რისკები ასეთია:

	აშშ დოლარში გამოხატული		ევროში გამოხატული	
	2021	2020	2021	2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,617	35,586	3	55
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	520	702	–	–
გაცემული სესხები	–	–	1,667	3,220
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	(460,613)	(475,132)	–	–
საიჯარო ვალდებულებები	(1,233)	(1,100)	(5,523)	(11,737)
სავაჭრო კრედიტორული ვალდებულება	(397,226)	(397,459)	(440)	(460)
რისკის ნეტო ოდენობა	(848,935)	(837,403)	(4,293)	(8,922)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

ქვედა ცხრილებში ასახულია მგრძნობელობა აშშ დოლარსა და ევროში სავალუტო კურსების გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია. ჯგუფის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე) გავლენას ახდენს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ცვლილება. ჯგუფის ყველა დანარჩენ ვალუტასთან დაკავშირებული რისკები არ არის არსებითი.

	გამყარება	გაუფასურება
2021 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (14%/–6%–იანი ცვლილება)	(118,851)	50,936
ევრო (15%/–7%–იანი ცვლილება)	(644)	301
2020 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (15%/–7%–იანი ცვლილება)	(125,610)	58,618
ევრო (16%/–8%–იანი ცვლილება)	(1,428)	714

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ჯგუფისთვის დამახასიათებელი საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად უკავშირდება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე გარკვეულ ნაწილს.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

მოცემული ცხრილში ასახულია მგრძნობელობა სესხების ამ ნაწილის საპროცენტო განაკვეთების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით. ჯგუფის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე) შემდეგ გავლენას ახდენს ნასესხები სახსრების ცვალებადი განაკვეთები.

	ზრდა/(კლება) საბაზისო ერთეულებში	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე)
2021 წლის 31 დეკემბერი	+125/-25	(753)/151
2020 წლის 31 დეკემბერი	+100/-25	(1,721)/430

(დ) სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური განსჯის გამოყენების გამო, არ უნდა ჩაითვალოს, რომ სამართლიანი ღირებულება დაუყოვნებლივ რეალიზებადია აქტივების გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვისას.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებების შედარება კლასების მიხედვით.

		საბალანსო ღირებულება		სამართლიანი ღირებულება	
	დონე	2021	2020	2021	2020
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-12 შენიშვნა)	დონე 3	277,996	291,781	277,996	291,781
გაცემული სესხები	დონე 3	1,667	3,220	1,692	2,493
სხვა აქტივები	დონე 3	3,519	3,771	3,519	3,771
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-14 შენიშვნა)	დონე 1	22,655	83,290	22,655	83,290
სულ ფინანსური აქტივები		305,837	382,062	305,862	381,335
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტური სესხები და ნასესხები					
სახსრები(მე-16 შენიშვნა)	დონე 3	(789,409)	(825,453)	(774,450)	(802,048)
საიჯარო ვალდებულება (მე-10 შენიშვნა)	დონე 3	(19,627)	(32,525)	(19,724)	(32,476)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება (მე-18 შენიშვნა)	დონე 3	(582,990)	(593,084)	(582,990)	(593,084)
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულება (მე-17 შენიშვნა)	დონე 3	(55,182)	(50,752)	(48,736)	(49,113)
სულ ფინანსური ვალდებულებები		(1,447,208)	(1,501,814)	(1,425,900)	(1,476,721)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(დ) სამართლიანი ღირებულებები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო დებიტორული დავალიანება, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო.
- ▶ ნასესხები სახსრების, გაცემული სესხების, საიჯარო ვალდებულებების და ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან მიღებული გრძელვადიანი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების სახით, ანგარიშგების თარიღში მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით. ჯგუფს საინვესტიციო ქონების ღირებულება შეფასებული აქვს სამართლიანი ღირებულებით (24-ე შენიშვნა).

(ე) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

20. პირობითი ვალდებულებები

(ა) სხვა საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

ჯგუფს აქვს დარიცხული ანარიცხები, ხელმძღვანელობის ყველაზე ზუსტ შეფასებებზე დაყრდნობით. ქართული საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს ექვემდებარება, რომლებიც ხშირად წარმოიქმნება. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღქმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს თავის საგადასახადო პოზიციას და განიხილავს იმ გარიგებებს, რომლებიც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა. როდესაც ამის ალბათობა მაღალია, ჯგუფი ქმნის შესაბამის ანარიცხებს. ხელმძღვანელობის შეფასებით, საგადასახადო რისკი, რომელიც არ აკმაყოფილებდა ანარიცხების შექმნისთვის საჭირო კრიტერიუმებს, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის არსებითი.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(ბ) გაცემული გარანტიები

2021 და 2020 წლებში ჯგუფმა გააფორმა შემდეგი საგარანტიო შეთანხმებები:

ვალდებულება	ვალუტა	დაფარვის ვადა	2021	2020
სს „საქორგაზი“	ლარი	3-აგვ-2021	–	10,000
შპს „კონფიდენს გრუპი“	ლარი	20-ოქტ-2022	11,510	12,160

2021 წელს სს „საქორგაზი“ გაცემულ გარანტიას ვადა გაუვიდა ჯგუფისთვის დამატებითი ხარჯის გარეშე. ჯგუფს ფულადი სახსრების გადინება გაცემული გარანტიებიდან არ ჰქონია 2021 და 2020 წლებში.

(გ) სხვა პირობითი ვალდებულებები

2017 წლის 26 ივნისს ჯგუფმა თბილისის საქალაქო სასამართლოსგან მიიღო სარჩელი და თანდართული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ნავთობპროდუქტების არარეზიდენტი მომწოდებელი ინტერპრაიმ კორპორეიშენი მოითხოვდა 19,423,000 აშშ დოლარის გადახდას 2013 და 2014 წლებში მიწოდებულ პროდუქტში 2013 წლის 6 დეკემბერს გაფორმებული #IP-SOCAR/12/13/07 ხელშეკრულების თანახმად. 2017 წლის 4 ივლისს ჯგუფმა თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა განცხადება იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს შორის ნებისმიერი დავა უნდა განხილულიყო ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს („LCIA“) მიერ. 2017 წლის 5 ივლისს ჯგუფმა მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც თბილისის საქალაქო სასამართლო წყვეტდა საქმის წარმოებას ინტერპრაიმ კორპორეიშენის სარჩელზე და მას გადასცემდა ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს. ინტერპრაიმ კორპორეიშენმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (რომლითაც სასამართლომ ინტერპრაიმ კორპორეიშენის სარჩელი განსახილველად არ მიიღო) სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ამ უკანასკნელმა გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი განსახილველად დაუბრუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს. „Interprime Corporation“-მა კიდევ ერთხელ გაასაჩივრა გადაწყვეტილება და 2021 წლის 29 ივნისს სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა „Interprime Corporation“-ის აპელაციაზე. 2017 წლის 5 ივლისს მიღებული გადაწყვეტილება ძალაში რჩება და ის აპელაციას არ ექვემდებარება, შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ საქართველოში გასაჩივრების უფლება შეზღუდა. თუმცა, „Interprime Corporation“ ინარჩუნებს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში დავის წამოწყების უფლებას.

ჯგუფს აქვს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლითაც მტკიცდება, რომ მას გადახდილი აქვს კრედიტორული ვალდებულების 16,780,000 აშშ დოლარი და დარჩენილი თანხა 2,643,000 აშშ დოლარის ოდენობით აღირიცხა სავაჭრო კრედიტორულ ვალდებულებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(გ) სხვა პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

იმის გამო, რომ სარჩელის გასაჩივრება იკრძალება ქართულ სასამართლოში, ჯგუფმა ჩამოწერა კრედიტორული ვალდებულების დაუფარავი თანხა 2,643,000 დოლარის (8,365 ლარი) ოდენობით სააღრიცხვო ჩანაწერებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საქმე არ წავა ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში. ჯგუფის პოზიცია ეფუძნება შემდეგ მსჯელობებს:

- ▶ ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო არ ითვალისწინებს „ინტერპრაიმ კორპორაციის“ მოთხოვნას ქართული სასამართლოს განჩინების უგულებელყოფასთან დაკავშირებით, რადგან „ინტერპრაიმ კორპორაცია“ თავად იყო მხარე, რომელმაც დავის საქართველოში დაწყება გადაწყვიტა.
- ▶ 2017 წელს სარჩელის შეტანის შემდეგ, „ინტერპრაიმ კორპორაციამ“ ვერ შეძლო მისი სარჩელის მხარდამჭერი თუნდაც ერთი დოკუმენტის წარდგენა და რაიმე ვალდებულების არსებობის დადასტურება. ჯგუფს სჯერა, რომ მოსარჩელეს არ გააჩნია მტკიცებულებები.
- ▶ ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელის შეტანა მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს - ჯგუფი დარწმუნებულია, რომ „ინტერპრაიმ კორპორაციისთვის“ პოტენციური სარგებელი, განსაკუთრებით ჯგუფის ძლიერი პოზიციის და წაგების ალბათობის გათვალისწინებით, ამგვარად მოქმედების ხარჯს ვერ გადაწონის.

21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) გარიგებები ხელმძღვანელობასთან

ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 2021 და 2020 წლებში შვიდი პირისგან შედგებოდა. 2021 წელს მათ მიერ მიღებული ანაზღაურების ჯამი 3,008 ლარს შეადგენდა (2020 წ.: 3,706 ლარი) და მოიცავდა ხელფასებსა და თანამშრომელთა სხვა სარგებელს.

(ბ) ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2021	2020	ვალდებულებები მიმართ/(-გან)	
			2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გაყიდვები				
შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ (სკდს)	4,472	2,391	764	251
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“ (სკდს)	39,309	37,809	2,619	4520
სს „საქორგაზი“ (სკდს)	17,545	19,986	3,629	24,571
„სოკარის წარმომადგენლობა საქართველოში“ (სკდს)	1,045	1,052	–	285
შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“ (სკდს)	167,012	217,591	48,304	109,377
შპს „სოკარ ოვერსიზ“ (აქციონერი)	3,225	1,920	2	–
შპს „სოკარ მიდსთორიმ ოპერეიშენს – საქართველოს ფილიალი“ (სკდს)	72	–	54	–
	232,680	280,749	55,372	139,004

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ზ) ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ნავთობშემცველი პროდუქტების, ბუნებრივი გაზის და სხვა

საქონლისა და მომსახურების შესყიდვა

სოკარის მარკეტინგული და საოპერაციო განყოფილება (მშობელი კომპანია)	445,931	216,155	(41,378)	(20,163)
სოკარის გაზის საოპერაციო განყოფილება (მშობელი)	573,032	684,497	(347,168)	(345,881)
შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“ (სკდს)	87,754	122,373	(80,224)	(85,619)
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“ (სკდს)	1,119	774	(283)	(117)
სს „საქორგაზი“ (სკდს)	105,292	67,512	(18,302)	(18,585)
შპს „სოკარ ოვერსიზ“ (სკდს)	–	261	–	–
„სოკარ ლოჯისტიკის DMCC“ (სკდს)	–	–	–	(370)
„სოკარ თრეიდინგი SA“ (სკდს)	469	–	(469)	–
„ჯგუფის წარმომადგენლობა ბაქოში“ (სკდს)	674	323	(19)	243
„სოკარის წარმომადგენლობა საქართველოში“ (სკდს)	675	352	(251)	(258)
	1,214,946	1,092,247	(488,094)	(470,750)

(გ) სესხები და იჯარა

ფასს (IFRS) 16–ის საფუძველზე აღრიცხული იჯარები (კომპანია, როგორც მოიჯარე)	საპროცენტო ხარჯი 2021	საპროცენტო ხარჯი 2020	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2021 წლის 31 დეკემბერს	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2020 წლის 31 დეკემბერს
„სოკარის წარმომადგენლობა საქართველოში“ (სკდს)	1,261	1,533	(9,723)	(14,020)
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“ (სკდს)	191	250	(1,482)	(2,117)
	1,452	1,783	(11,205)	(16,137)

მიღებული სესხები	საპროცენტო ხარჯი 2021	საპროცენტო ხარჯი 2020	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2021 წლის 31 დეკემბერს	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2020 წლის 31 დეკემბერს
მშობელი კომპანია (მე-16 შენიშვნა)	8,819	9,992	142,082	147,874
„EVENTUS GENERAL TREIDING FZE“ (არა-მაკონტროლებელი მფლობელი, მე-16 შენიშვნა)	286	422	18,763	19,556
შპს „სოკარ ოვერსიზ“ (სკდს, მე-16 შენიშვნა)	4,322	3,756	161,676	169,368
	13,427	14,170	322,521	336,798

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

22. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

მართვის მიზნებისთვის ჯგუფი დაყოფილია ბიზნეს ერთეულებად თავისი პროდუქტებისა და მომსახურებების მიხედვით და აქვს შემდეგი სამი სეგმენტი, რომელთა ანგარიშგებასაც ახდენს:

- ▶ ნავთობპროდუქტების სეგმენტი, რომელიც ახდენს ნავთობპროდუქტების იმპორტსა და გადაყიდვას საცალო და საბითუმო მომხმარებლებზე ბენზინგასამართი სადგურების და ნავთობბაზების მეშვეობით და სწევს მასთან დაკავშირებულ მომსახურებას. ეს სეგმენტი ასევე მოიცავს ბუნებრივი გაზის მიყიდვას ავტომანქანების მფლობელებისთვის ავტოგასამართ სადგურებზე.
- ▶ ბუნებრივი გაზის სეგმენტი, რომელიც ახდენს ბუნებრივი გაზის იმპორტსა და განაწილებას იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე საქართველოს რეგიონებში გაზგამანაწილებელი ქსელის მეშვეობით და სწევს მასთან დაკავშირებულ მომსახურებას.
- ▶ სხვა სეგმენტი, რომელიც მოიცავს გაყიდვებს ბენზინგასამართი სადგურების მაღაზიებში, უსაფრთხოების მომსახურებას და სხვა მცირემასშტაბიან ოპერაციებს.

ხელმძღვანელობა აკვირდება ბიზნეს ერთეულების საოპერაციო შედეგებს განცალკევებულად, რათა გადაწყვეტილება მიიღოს სახსრების განაწილებასა და შედეგების შეფასებაზე. ამა თუ იმ სეგმენტში მიღწეული შედეგები ფასდება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება-ზარალის მიხედვით და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საოპერაციო მოგების ან ზარალის შესაბამისად. თუმცა, ჯგუფის დაფინანსება (ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯებისა და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ჩათვლით) და მოგებიდან გადასახადები იმართება ჯგუფის დონეზე და არ ნაწილდება საოპერაციო სეგმენტებზე.

საოპერაციო სეგმენტებს შორის გარიგებები ძირითადად ხდება საბაზრო ფასით, ისევე როგორც მესამე პირთან ტრანზაქციებისას, ან სისტემატურად შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

22. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

2021	ნავთობშემცველი პროდუქტები	ბუნებრივი გაზი	სხვა	გაქვითვები	კონსოლიდი- რებული
შემოსავალი					
გარე მომხმარებლები	919,616	1,185,421	70,813	–	2,175,850
შიდა დარგობრივი	3,592	5,464	3,032	(12,088)	–
სულ შემოსავალი	923,208	1,190,885	73,845	(12,088)	2,175,850
გაუნაწილებელი ერთეულები:					
ფინანსური შემოსავალი	–	–	–	–	2,948
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	–	–	–	–	(78,769)
წლის შემოსავალი	(11,129)	(55,508)	6,401	–	(60,236)
სულ აქტივები					
სულ აქტივები შიდა დარგობრივის გარეშე	331,413	983,589	37,205	–	1,352,207
შიდა დარგობრივი	7,206	197,872	575,019	(780,097)	–
სულ აქტივები შიდა დარგობრივის ჩათვლით	338,619	1,181,461	612,224	(780,097)	1,352,207
სულ ვალდებულებები					
სულ ვალდებულებები შიდა დარგობრივის გამოკლებით	(537,534)	(843,997)	(184,686)	–	(1,566,217)
შიდა დარგობრივი	(426,389)	(10,133)	(3,584)	440,106	–
სულ ვალდებულებები შიდა დარგობრივის ჩათვლით	(963,923)	(854,130)	(188,270)	440,106	(1,566,217)
2020	ნავთობშემცველი პროდუქტები	ბუნებრივი გაზი	სხვა	გაქვითვები	კონსოლიდი- რებული
შემოსავალი					
გარე მომხმარებლები	570,464	1,125,418	45,538	–	1,741,420
შიდა დარგობრივი	2,422	3,830	3,525	(9,777)	–
სულ შემოსავალი	572,886	1,129,248	49,063	(9,777)	1,741,420
გაუნაწილებელი ერთეულები:					
ფინანსური შემოსავალი	–	–	–	–	14,685
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	–	–	–	–	(69,862)
წლის ზარალი	149,066	29,027	(1,352)	–	176,741
სულ აქტივები					
სულ აქტივები შიდა დარგობრივის გარეშე	289,966	1,060,119	6,308	–	1,356,393
შიდა დარგობრივი	35,990	134,931	816,000	(986,921)	–
სულ აქტივები შიდა დარგობრივის ჩათვლით	325,956	1,195,050	822,308	(986,921)	1,356,393
სულ ვალდებულებები					
სულ ვალდებულებები შიდა დარგობრივის გამოკლებით	228,995	1,059,479	342,165	–	1,630,639
შიდა დარგობრივი	558,786	16,946	716	(576,448)	–
სულ ვალდებულებები შიდა დარგობრივის ჩათვლით	787,781	1,076,425	342,881	(576,448)	1,630,639

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი არ ნაწილდება ცალკეულ სეგმენტებზე, რადგან საბაზისო ინსტრუმენტები იმართება ჯგუფის დონეზე. შიდა დარგობრივი შემოსავლები, ხარჯები, აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება მათი კონსოლიდაციისას და აისახება „გაქვითვების“ სვეტში.

23. არაფულადი ოპერაციები

საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობები, რომლებიც არ საჭიროებს ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების გამოყენებას 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო:

	2021	2020
მომრაობა გადავადებული გადახდის პირობით შესყიდულ ძირითად საშუალებებში	(1,762)	(1,214)
მთავრობისგან გრძელვადიანი გადავადებული გადახდის პირობებით შესყიდული ძირითადი საშუალებები	21,379	48,767
გრძელვადიანი გადავადებული გადახდის პირობებით შესყიდული ძირითადი საშუალებები	–	973

24. საინვესტიციო ქონება

	2021	2020
საწყისი ნაშთი 1 იანვარს	17,645	18,046
გასვლები	–	(1,130)
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) სამართლიანი ღირებულების გადაფასებიდან	(5,079)	729
საბოლოო ნაშთი 31 დეკემბრის	12,566	17,645

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საინვესტიციო ქონება 12,566 ლარის ოდენობით (2020 წ.: 17,645 ლარი) შედგებოდა მიწისა და შენობა-ნაგებობებისგან, რომლებიც მიღებულია დებიტორებისგან და ჯგუფი არ აპირებს მის გამოყენებას ბიზნესსაქმიანობისთვის. საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით ფასდება. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. 2021 წელს შეფასება ჩაატარა დამოუკიდებელმა შემფასებელმა „PWC“. 5,079 ლარის ოდენობით ზარალი აღიარდა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას. შეფასების მოდელები შეესაბამება ფასს (IFRS) 13-ში განსაზღვრულ პრინციპებს. მთლიანობაში „PWC“-იმ 33 პოზიცია შეაფასა, საიდანაც 13 პოზიცია (11,826 ლარი) შეფასდა საბაზრო შედარებადი მეთოდით. 20 პოზიციისთვის (740 ლარი) დამოუკიდებელმა შემფასებელმა ხარჯის ჩანაცვლების მეთოდი გამოიყენა.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

24. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

საბაზრო შედარებითი მეთოდი

ეს მეთოდი გულისხმობს შეფასების ობიექტის პირდაპირ შედარებას სხვა ობიექტთან, რომელიც გაიყიდა ან აღრიცხულია გაყიდვის რეესტრში. ღირებულების კორექტირება განისაზღვრება შემდეგი თანმიმდევრობით უპირატესობების მიხედვით: 1) დაფინანსების პირობები; 2) გაყიდვის პირობების; 3) საბაზრო პირობები; 4) ადგილმდებარეობა და 5) ფიზიკური ინდექსები.

ხარჯის ჩანაცვლების მეთოდი

ამორტიზებული ჩანაცვლების ხარჯის მეთოდი აფასებს შეფასების თარიღში აქტივის ჩანაცვლების ხარჯს მისი მიმდინარე გამოყენების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც ამორტიზაცია მოძველების შემცველად გამოიყენება. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად ამ მეთოდის გამოყენება აუცილებლად გულისხმობს შემდეგს: 1) გასასვლელი და შესვლის ბაზრები ერთი და იგივეა (როდესაც გასვლის და შესვლის ფასები ტოლია), 2) აქტივის უმაღლესი და საუკეთესო გამოიყენება მისი მიმდინარე გამოყენებაა, 3) ცვეთის ხარჯი შესაბამისად ასახავს ფიზიკურ გაუარესებას, ფუნქციონალურ (ტექნოლოგიურ) მოძველებას და ეკონომიკურ (გარე) მოძველებას, 4) გამოყენებული შემავალი მონაცემები შეესაბამება ბაზრის მონაწილის მიერ გაკეთებულ დაშვებებს აქტივის შესახებ

25. აუდიტორის გასამრჯელო

	2021	2020
გასამრჯელო ჯგუფის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	676	430
სხვა მარწმუნებელი მომსახურების დანახარჯები	298	300
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	88	52
სულ გასამრჯელო და დანახარჯები	1062	782

2021 წელს სხვა აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ანაზღაურება სხვა პროფესიონალურ მომსახურებებთან მიმართებაში 298 ლარს (2020 წ.: 300 ლარი) შეადგენდა, დღგ-ის გარეშე.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

26. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

(ა) რუსეთის სამხედრო შეჭრა უკრაინაში

2022 წლის თებერვალში რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, რასაც ორ ერს შორის სრულმასშტაბიანი ომი მოჰყვა. შედეგად, მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს რუსეთს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების და სხვა ლისტიგში შემავალი რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია კოლოსალური ჰუმანიტარული კატასტროფა და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ზოგადად ეკონომიკაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თავის ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. ჯგუფი უკრაინის ომს მიიჩნევს ანგარიშგების პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად. ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი ნაშთები და გარიგებები კონტრაქტებთან უკრაინასა და რუსეთში.

(ბ) ცვლილება ხელმძღვანელობაში

2022 წლის მარტის თვეში შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ყოფილმა დირექტორმა ლევან გიორგაძემ დატოვა ჯგუფი და თანამდებობაზე ნოდარ ყანჩაველი დაინიშნა. ნოდარ ყანჩაველი 2017 წლიდან მუშაობდა „სოკარ ენერჯი ჯორჯიაში“. 2019-2021 წლებში ნოდარი იყო შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საოპერაციო დირექტორი.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2022 წლის 26 სექტემბერს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

მმართველობის ანგარიშგება

სოკარ ენერჯი ჯორჯია

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასა და პარტნიორს

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 26 სექტემბერს გაცემულ ჩვენს დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებთა წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 29 სექტემბერი

**EY****Building a better
working world**

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასა და პარტნიორს

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 26 სექტემბერს გაცემულ ჩვენს დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 29 სექტემბერი



სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა.....	3
2. ორგანიზაციული სტრუქტურა.....	5
3. საკადრო პოლიტიკა.....	5
4. ჯგუფის განვითარების გეგმები	6
5. ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	6
6. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	6
7. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.....	6
8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	8
9. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	8

1. საქმიანობის მიმოხილვა

„სოკარ ენერჯი ჯორჯია“ (შემდგომში „სოკარი“ ან „კომპანია“) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 17 აგვისტოს (ს/ნ 202349440) და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 300 არაგველის ქ. 24.

სოკარ ენერჯი ჯორჯიას აქციონერები არიან:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (შემდგომში „მშობელი კომპანია“) – 75.505%
- Intersun Holding FZCO – 8.165%
- EVENTUS GENERAL TRADING FZE – 16.33%

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სოკარ ენერჯი ჯორჯია ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოებს (შემდგომში „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	წილობრივი მონაწილეობა	რეგისტრაციის ქვეყანა	სფერო
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლუმ“	100%	საქართველო	ნავთობპროდუქტები
შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“	100%	საქართველო	ბუნებრივი გაზით კომუნალური მომსახურება
შპს „თელავგაზი“	100%	საქართველო	ბუნებრივი გაზით კომუნალური მომსახურება
შპს „სოკარ ჯორჯია სექიურითი“	100%	საქართველო	სხვა
შპს „ს მარკეტს“	100%	საქართველო	საცალო
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლუმ სამტრედია“	75%	საქართველო	ნავთობპროდუქტები
შპს „ინდასტრი ჯორჯია“	100%	საქართველო	მშენებლობა
შპს „ობიექტი“	55%	საქართველო	ნავთობპროდუქტები
შპს „ინტერნეშნლ რელივეი ექსპედიშნ“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
შპს „ჟულევის ნავთობტერმინალი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „წყალტუბო გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ბაღდადი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ზესტაფონი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „აბაშა გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ზუგდიდი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ახმეტა გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „დედოფლისწყარო გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხარაგაული გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჩოხატაური გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლაგოდეხი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ყვარელი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „საგარეჯო გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „გურჯაანი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „სიდნალი გაზი“	91.88%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ოზურგეთი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლანჩხუთი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჭიათურა გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხობი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ფოთის ბუნებრივი გაზის კომპანია“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო

ჯგუფის მმართველობითი ორგანოებია სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორი.



ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა:


- ნავთობპროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია, როგორც საცალო ასევე, საბითუმო კლიენტებზე.
- ბუნებრივი აირის იმპორტი და გაზგამანაწილებელი ქსელის მეშვეობით მიწოდება იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე საქართველოს რეგიონებში.

ჯგუფის უმსხვილესი შვილობილი კომპანიებია: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“:

- შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის მიწოდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე; ასევე, გაზის განაწილება საქართველოს რეგიონებში. 2021 წელს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ საკუთარ ქსელზე მიაერთა დაახლოებით 28,000 ახალი აბონენტი, წლის ბოლოსთვის კი აბონენტების ჯამურმა რაოდენობამ 784,300-ს მიაღწია. მომხმარებლებს ემსახურება 43 სერვისცენტრი 5 რეგიონში.
- შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების იმპორტი და მათი საცალო და საბითუმო რეალიზაცია. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ საქართველოს მასშტაბით ოპერირებს 110 ავტოგასამართი სადგურით და 13 კლიენტთა მომსახურების ცენტრით. ამ სადგურების ნაწილი არის ჯგუფის მფლობელობაში, ხოლო ნაწილი იჯარითაა აღებული. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ არის ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოთამაშე და ბაზრის ლიდერი, რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს 2006 წლიდან.

2. ორგანიზაციული სტრუქტურა

„სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ მართავს გენერალური დირექტორი, რომელიც ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. ჯგუფში შემუშავებულია ცენტრალიზებული მართვის სტრუქტურა:



„სოკარ ენერჯი ჯორჯიაში“ მომუშავე თანამშრომლები მომსახურებას უწევენ შვილობილ კომპანიებს და ჩართული არიან მართვის პროცესებში.

3. საკადრო პოლიტიკა

2021 წელს ჯგუფში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 4,900 ადამიანს.

ჯგუფი მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე. შემუშავებულია საბონუსე სისტემა, რომლის საფუძველზეც თანამშრომლის მიერ გაწეული ეფექტური, ხარისხიანი და შედეგიანი სამუშაო პირდაპირ აისახება მისი ანაზღაურების მოცულობაზე.

თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის მიზნით პერიოდულად ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები და წამახალისებელ კონკურსები.

ჯგუფში მუდმივად ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და სემინარები.

ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა.

4. ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფი ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისა და საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შემდეგ, ჯგუფის სამომავლო გეგმებშია, შეასრულოს დირექტივები, რომელიც გაიწერება ენერგეტიკული სექტორისა და გარემოსდაცვითი მიმართულებით.

ჯგუფი აქტიურად გეგმავს განავითაროს ელექტრო ტრანსპორტის დასამუხტი ინფრასტრუქტურა, გააფართოვოს მაღაზიათა ქსელი - “ვეიმარტის” - ქვეყნის მასშტაბით.

5. ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2020 წელი		
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება
4,832	1,741,420,000	1,356,393,000
2021 წელი		
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება
4,900	2,175,850,000	1,352,207,000

6. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

2021 წელს ჯგუფის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 2,175.85 მილიონი ლარი რაც 2020 წელთან შედარებით 24.95%-ით მეტია.

2021 წლის განმავლობაში ჯგუფის მთლიანი ვალდებულებები შემცირდა 3.95%-ით და წლის ბოლოს შეადგენს 1,566.217 მლნ ლარს.

2021 წელს ჯგუფის EBITDA (მოგება/(ზარალი) საგადასახადო, ცვეთის, ამორტიზაციის და საპროცენტო ხარჯებამდე) იყო 189.736 მლნ ლარი.

ჯგუფის საოპერაციო მოგება 2021 წელს იყო 102.054 მლნ ლარი.

7. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

სოკარი თანამედროვე, მართვისა და ხარისხის კონტროლის სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მოქმედი ორგანიზაციაა.

ჯგუფმა სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს სისტემური სახე მისცა და შექმნა გრძელვადიანი CSR სტრატეგია, რომელიც მოიცავს 5 მიმართულებას. ესენია:

- გარემოს დაცვა
- ახალგაზრდების მხარდაჭერა
- უსაფრთხოება
- ქალთა გაძლიერება
- შშმ პირების და ხანდაზმულების უფლებების რეალიზაცია

გარემოს დაცვა

- ჯგუფს აშენებული აქვს არაერთი სკვერი თბილისსა და რეგიონებში, მათ შორის რეკრეაციული ზონები თბილისსა და რუსთავში.
- ჯგუფი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნარჩენების მართვას და ყველა წესის დაცვით ახორციელებს უტილიზაციას.
- ჯგუფი ზრუნავს ეკოლოგიაზე საწვავის ხარისხის კონტროლით. კომპანიას გააჩნია საკუთარი აკრედიტებული ლაბორატორია და სისტემატურად წმენდს რეზერვუარებს.
- ჯგუფს დაწყებული აქვს საწვავის ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატის მიღების პროცესი.
- ჯგუფის სადგურების უმრავლესობაზე (კახეთიდან ბათუმამდე არსებულ მთელს ავტობანზე და თბილისში) დამონტაჟებულია ელექტრო-მანქანების დამტენები.
- ბორჯომის ტყე-პარკის ტრაგიკული ხანძრის შედეგად განადგურებულ ტერიტორიაზე, კერძოდ 2 ჰექტარი მიწის ფართობზე, 4,700 ძირი ხე დაირგო.
- თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კერძოდ ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში არსებული ტერიტორია გამწვანდა და 1,500-მდე ძირი ხე დაირგო.

ახალგაზრდების მხარდაჭერა

- ჯგუფი აქტიურად უჭერს მხარს ახალგაზრდულ სპორტს, მეტწილად ფეხბურთსა და რაგბის.
- ახალგაზრდების მხარდაჭერა ჯგუფის CSR სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა და Young Lions Georgia-სთან ჯგუფი უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს.
- Driving Academy, არის ავტოსკოლა რომელიც გაიხსნა სოკარის დახმარებით, ავტოსკოლაში ახალგაზრდებს მთელი წლის განმავლობაში შეასწავლიან ავტომობილის მართვას და გზებზე უსაფრთხოების წესებს.

ქალთა გაძლიერება

ბოლო წლების მანძილზე სოკარს რამდენიმე საინფორმაციო კამპანია ჰქონდა ქალთა გაძლიერების მიმართულებით.

- ცნობიერების ამაღლება საავტომობილო სტიკერების #ქალივიციმესაჭესთან საშუალებით და ამ ნაბიჯით არსებულ სტერეოტიპებთან შეწინააღმდეგება.
- იგივე კამპანიის ფარგლებში ყოველკვირეული საინფორმაციო პოსტების გამოქვეყნება სოკარის ფეისბუქ გვერდზე, სადაც ასახულია ქართველ და უცხოელ ქალებზე საინტერესო ისტორიები, მათი სამეცნიერო მიღწევები და გამბედაობა.
- ქალთა გაძლიერების მიმართულებით, 2018 წელს, სოკარი შეუერთდა გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებს, რაც გულისხმობს სამუშაო ადგილებზე ქალთა უფლებების მაქსიმალურად დაცვას, ქალების წახალისებას მაღალი რგოლის მენეჯმენტის პოზიციებზე და ქალების დასაქმებას ე.წ.

„არატრადიციულ თანამდებობებზე“. პროექტის მიზანია აგრეთვე სქესობრივი დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრა და პრევენცია.

- სოკარი ყოველთვის გვერდში უდგას ქართულ სპორტს და ამ მხრივ არც ქალთა ფეხბურთია გამონაკლისი.

უსაფრთხოება

- ჯგუფი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საგზაო უსაფრთხოების საკითხებს და სამუშაო ადგილებზე თანამშრომლების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვას.
- სოკარი ნერგავს და მომავალშიც გააუმჯობესებს H&S სისტემებს იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული პერსონალის ჯანმრთელობა სამუშაო ადგილზე.
- ჯგუფი უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს.
- ჯგუფი ეწევა საგზაო უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების პოპულარიზაციას, სხვადასხვა კამპანიების საშუალებით სოციალურ ქსელებსა და მედიაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით.

შპს პირების და ხანდაზმულების უფლებების რეალიზაცია

- ჯგუფი 2019 წლიდან მხარს უჭერს პროექტს „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქია“ პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად მრავალი სპორტული ღონისძიება და სპორტული ბანაკი იმართება. ბანაკში მონაწილეობას იღებენ საომარი მოქმედებების დროს დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები, ვეტერანები, ცნობილი სახეები და რეგიონებში მცხოვრები შპს პირები.
- ჯგუფმა დაიწყო სადგურებზე არსებული სველი წერტილების ეტაპობრივი ადაპტაცია.
- სოკარ ჯორჯია გაზი წლების განმავლობაში აფინანსებს ზესტაფონის კათარზისის ფილიალს.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია ლარის გაუფასურება და შესაბამისად, არასტაბილური ფასები. აღნიშნული რისკების შესამცირებლად ჯგუფი მუდმივად აკეთებს რეორგანიზაციას, კადრების გადამზადებას და ხარჯების ოპტიმიზაციას.

9. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, რომლის საშუალებითაც ხდება დანახარჯების ოპტიმიზაცია და შესაბამისად, მიღწეული შედეგების გაუმჯობესება.

სამუშაო პროცესებში აქტიურად ახალი ტექნოლოგიების გამოყენება: ხოლო ცნობადობისა და ლოიალური მომხმარებლების გაზრდის მიზნით აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდებს.



„არატრადიციულ თანამდებობებზე“. პროექტის მიზანია აგრეთვე სექსობრივი დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრა და პრევენცია.

- სოკარი ყოველთვის გვერდში უდგას ქართულ სპორტს და ამ მხრივ არც ქალთა ფეხბურთია გამონაკლისი.

უსაფრთხოება

- ჯგუფი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საგზაო უსაფრთხოების საკითხებს და სამუშაო ადგილებზე თანამშრომლების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვას.
- სოკარი წერგავს და მომავალშიც გააუმჯობესებს H&S სისტემებს იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული პერსონალის ჯანმრთელობა სამუშაო ადგილებზე.
- ჯგუფი უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს.
- ჯგუფი ეწევა საგზაო უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების პოპულარიზაციას, სხვადასხვა კამპანიების საშუალებით სოციალურ ქსელებსა და მედიაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით.

შშმ პირების და ხანდაზმულების უფლებების რეალიზაცია

- ჯგუფი 2019 წლიდან მხარს უჭერს პროექტს „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქია“ პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად მრავალი სპორტული ღონისძიება და სპორტული ბანაკი იმართება. ბანაკში მონაწილეობას იღებენ საომარი მოქმედებების დროს დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები, ვეტერანები, ცნობილი სახეები და რეგიონებში მცხოვრები შშმ პირები.
- ჯგუფმა დაიწყო სადგურებზე არსებული სველი წერტილების ეტაპობრივი ადაპტაცია.
- სოკარ ჯორჯია გაზი წლების განმავლობაში აფინანსებს ზესტაფონის კათარზისის ფილიალს.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია ლარის გაუფასურება და შესაბამისად, არასტაბილური ფასები. აღნიშნული რისკების შესამცირებლად ჯგუფი მუდმივად აკეთებს რეორგანიზაციას, კადრების გადამზადებას და ხარჯების ოპტიმიზაციას.

9. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, რომლის საშუალებითაც ხდება დანახარჯების ოპტიმიზაცია და შესაბამისად, მიღწეული შედეგების გაუმჯობესება.

სამუშაო პროცესებში აქტიურად ახალი ტექნოლოგიების გამოყენება: ხოლო ცნობადობისა და ლოიალური მომხმარებლების გაზრდის მიზნით აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდებს.

გიორგი ჯაფარიძე
აღმასრულებელი დირექტორი

29 სექტემბერი, 2022